რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 30 აპრილი 1917 წ.

# ბრძოლა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი, ხოლო ორის შემდეგ—8 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 36 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 36

## მუშათა საბჭოსთან არსებულ პროპაგანდისტთა კოლეგიის საზოგადო კრებები ხდება ორშაბათობით საღამოს 7½ ს.

Со 2-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

## БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба».

Подписная цѣна на годъ 15 р., на 6 мѣс. 8 р., 3 м. 4 руб. 20 к., 1 мѣс. 1 р. 40 к.

პირველ მაისს გამოვა ახალი ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

## ალიონი

პ. დ. საყვარელიძის რედაქტორობით.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ს. აბაშელი, ვ. ბურჯანაძე, დ. თურდოსპირელი, დ. ლიხელი, გ. რუხაძე, ფ. რუშაველი, ილ. რუხაძე, ნ. საქარელი, გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, კ. ქავთარაძე, პ. ქავთარაძე, ნ. ქარცივაძე, გ. ქუჩიშვილი, შ. შარაშიძე (თაგუნა), ქრ. შარაშიძისა, ნ. ჩხიკვაძე, ს. ჭანტურიშვილი, ი. ჯაფარიძე, ი. ხელაძე და სხვ.

გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 5 მ. და 50 კ., ერთი თვით 1 მ., ცალკე ნომერი 10 კ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Дворцовая ул. д. Грузинскаго Дворянства, Контора Груз. Благотв. Об-ва Лаврентію Санадзе.

რედაქცია დროებით იმყოფება ქართ. საქვ. საზოგ. სადგომში. (სასახლის ქ. № 5) და ღია არის სად. 6—8 საათამდე.

### ძ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი.

სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმარ. წრე.

**ორშაბათს, 1 მაის 1917 წ. მუშათა საბჭოს სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება:**

| I. | II. |
| --- | --- |
| **მსხვერპლი** | **დედის ერთა** |
| პირველი და მესამე მოქ. გედევანიშვილისა | ვოდევილი 1 მოქ. გუნიასი. |

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. გამყრელიძე და წრის ყველა სცენის მოყვარენი და თანამშრომელნი.

დასაწყისი სად. სწორეთ 9 ნახ. საათზე. ✦ ადგილების ფასი 1 მ. 20 კ.-დან 5 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველდღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-დე. შემდეგი წარმოდგენა 9 მაის. ✦ ✦ რეჟ. ძ. შათირიშვილი.

კახეთის კავშირი წვრილი კრედიტის ამხანაგობებისა

ამით აცხადებს, რომ 30 აპრილს დილის 10 საათზე ქ. თელავში დანიშნულია

### წლიური კრება კავშირისა.

### სასურსათო კომიტეტი მე-6-ე ნაწილის საორგანიზაციო ბიუროსი

გთხოვთ მოქალაქენო! (მე-6-ე ნაწ.) მობრძანდეთ კვირას, 30 აპრილს, 12 საათზე მურაშკოს თეატრის დარბაზში, თელავის ქუჩა № 51 სასურსათო კომიტეტის წევრების ამოსარჩევათ.

2—2

### მეოთხე უბნის სასურსათო კომიტეტისაგან.

მოქალაქენო! კვირას, 30 აპრილს დილის 11 საათზე ახალი კლუბის ბაღში (შესასვლელი ფრეილინის ქუჩიდან) დანიშნულია

### საზოგადო კრება

ორივე მოქალაქეთა, რომელთაც 19 წელი შეუსრულდათ და მეოთხე უბანში სცხოვრობენ. კრების საგანია არჩევა 7 წარმომადგენლისა საუბნო სასურსათო კომიტეტში. ვცნობთ რა სასურსათო საქმის მოწესრიგებას მიუცილებელ და გადაუდებელ საკითხათ, მოუწოდებთ ყველა მოქალაქეებს, შეასრულონ თავიანთი მოქალაქობრივი ვალი, და დაესწრონ აღნიშნულ კრებაზე.

2—2 **დროებითი პრეზიდიუმი მეოთხე უბნის სასურსათო კომიტეტისა.**

### ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი.

აპრილის 30-ს, 1917 წ., ახალი კლუბის შენობაში დანიშნულია ქართული თეატრის მსახიობთა ყრილობა

### საპროფესიო კავშირის დასაარსებლად.

სხვა ქალაქებში მყოფ ქართველ მსახიობთ, რომელთაც ოდესმე უმსახურნიათ ან ეხლა მსახურებენ ქართულ თეატრში, ვთხოვთ ამ დღისათვის მიუცილებლათ ჩამობრძანდენ ქ. თბილისს. ყრილობა დაიწყება დილის 11 საათზე.

**რჩეულნი: ანდრონიკაშვილი კ., დადიანი შალვა, შალიკაშვილი ვალ.**

### მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო

მოუწოდებს რკინის გზის მუშათა ყველა ორგანიზაციებს (ადგილობრივსა და ცეხების კომიტეტებს და სხ.) სასახლეში, კვირას 30 აპრილს დილის 10 საათზე. გასარჩევი საგანია: სახელოსნოების საქმე, უფლება და მოვალეობა მუშათა ორგანიზაციების.

სასურველია მასალების წარმოდგენა, თუ რა ცვლილება მოახდინა მუშაობის წარმოებაზე სახელმწიფოს გარდაქმნამ.

### ექიმი გ. მ. მუხაძე

**იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.**

### ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

**ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.**

### ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

**შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.**

**ქუჩნევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.**

### ექიმი ივანე თიკანაძე

**დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.**

### მე-9 უბნის სასურსათო კომიტეტი

გთხოვთ მოქალაქენო (9 უ. ნ.) ამა წლის დღეს, კვირას, 30 აპრილს, დილის 11 ს. საზოგადო კრებას, რომელიც შესდგება მე-2 ქალთა გიმნაზიის შენობაში (ველიკოკნიაჟესკაიას ქ.). კრებამ უნდა აირჩიოს სასურსათო კომიტეტში შვიდი წევრი. კრება კანონიერათ გამოცხადდება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

## ინტერნაციონალი და რევოლუცია.

პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავს იდვა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევა. ინტერნაციონალის აღდგენას მკვიდრი საფუძველი ეყრება.

მსოფლიო ომმა გასწყვიტა სხვადასხვა ქვეყნის სოციალდემოკრატიულ პარტიათა შემაერთებელი ძაფები. ზავის ჩამოგდება ინტერნაციონალის გაძლიერების ნიადაგი გახდება. სწორეთ აქეთკენ არის მიქცეული რუსეთის დემოკრატიის ყურადღება.

რევოლიუციამ დაამხო მეფის ტახტი და შეარყია ევროპის რეაქციის ბატონობა. ამჟამათ პირველ რიგში საერთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგება წამოდგა. ხალხი დიპლომატიურ კითხვებს უტრიალებს და საიდუმლო, ხალხთა საწინააღმდეგო მოქმედებას ფარდას ხდის. იმპერიალიზმს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება. რა გასაკვირალია, რომ საიდუმლო დიპლომატია ყოველი ძალღონით ებრძოდეს რუსეთის რევოლიუციას და მის ცდას ინტერნაციონალის აღდგენის სასარგებლოთ. ამ მხრივ განსაკუთრებით თავს იჩხელეს გერმანიამ, ინგლისმა და საფრანგეთმა. ინტერნაციონალისტებს სასტიკათ სდევნიან და მათ გასაქანს არ აძლევენ. და ეს იმიტომ, რომ ინტერნაციონალის აღდგენა, ეს უპიროველესათ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდების მოახლოვებას მოასწავებს, ხოლო ეს ბურჟუაზიის დამარცხებაა. თუ ეს განხორციელდა, ყველასათვის ცხადი იქნება, რომ ამაოთ დაიღვარა ამდენი სისხლი, განადგურდა დიდძალი ქონება. ბურჟუაზია მაინც ვერას მოიგებს, უცხო ქვეყნებს ვერ შეიერთებს და აგე ომიდან ხელცარიელი გამოვა. ასეთ პირობებში ომს თავისი მომხიბვლელი სახე ეკარგვის.

მით უფრო გაორკეცებული ენერგიით უნდა შეეცადოს მუშათა კლასი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევას. ინიციატივა თავს იდვა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მას კარგათ გათვალისწინებული აქვს, რომ იმპერიალისტები არავითარ ზომას არ მოერიდებიან, რომ ეს განზრახვა ჩაფუშონ და მუშათა კლასი ძველებურათ დაიმონონ. ყველა მეომარ ქვეყანაში არსებობს ინტერნაციონალისტთა უმცირესობა, რომელნიც იმპერიალისტებს სამკვდრო-სასიცოცხლოთ ეომებიან. ასეთია გერმანიაში კ. ლიბკნეხტის და კ. კაუცკის ჯგუფი, საფრანგეთში ჟან ლონგეს მიმდევრები, ინგლისში დამოუკიდებელი მუშათა პარტია. მიეცით მათ საშუალება თავისუფალი აგიტაცია აწარმოვონ, ფართო მასაში თავისი აზრები გაავრცელონ, აგრეთვე სხვა ქვეყნის სოციალისტებს ძმურათ ხელი გაუწოდონ და თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ ომს ნიადაგი გამოეცლება და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდება გაადვილდება. რა გასაკვირალია იმპერიალისტები არას ერიდებიან, ოღონდ ომი განაგრძონ და თავისი მტაცებლური სურვილები განახორციელონ.

ეს კარგათ იციან პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მეთაურებმა. ამიტომაც არის ისინი ყველა მეომარი ქვეყნების მთავრობათაგან სოციალისტურ კონფერენციაზე არჩეულ დელეგატთა, მათ შორის ინტერნაციონალისტთა თავისუფალი დასწრების უფლებას ითხოვენ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მუშათა მოძრაობიდან იმპერიალისტურ მიდრეკილებათა აღმოფხვრა და ინტერნაციონალისათვის მკვიდრი საფუძვლის ჩაყრა.

რუსეთის პროლეტარიატმა დასცა დესპოტიზმი, ის შესძლებს ინტერნაციონალი აღდგენასა და საპატიო ზავის ჩამოგდებასაც.

## მრეწველთა მოგების შეზღუდვა.

მრეწველთა კლასის მოგება ამ საერთაშორისო ომის ხანაში წარმოუდგენლათ გაიზარდა. ყველა მეომარ სახელმწიფოების და აგრეთვე ნეიტრალურ ქვეყნების ბურჟუაზიამ უთვალავი მილიონები შეიძინა და ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები თავის ფულით გაავსო.

მრეწველთა კლასის გამდიდრებასთან ერთად ყოველგვარი ნაწარმოები საზღაპროთ ძვირდება. საშუალოთ ყოველგვარი ნაწარმოების ფასმა 300—400 პროცენტით აიწია.

მაგრამ მრეწველ-ვაჭრები ამით არ კმაყოფილდებიან და რაც დრო გადის თავიანთ საგმირო საქმეს უფრო მეტი ენერგიით ეწევიან.

სწორეთ ასეთმა მდგომარეობამ შექმნა ის აუტანელი მდგომარეობა, რომელსაც ჩვეულებრივ ენაზე ნაწარმოების გაძვირებას და სპეკულიაციას უწოდებენ. მთელი რუსეთის ფართო მომხმარებელი საზოგადოება სპეკულიაციის მორევში ჩაჩრჩა და ფართო მომხმარებელ მასას საშუალება აღარ აქვს აუცილებელი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

წარმოუდგენლათ გაძვირებულია ფაბრიკო და საქარხნო ნაწარმოები. უმთავრესათ კი ქსოვილების საგნები. აქ ნაწარმოების გაძვირება ყოველ საზღვარს გადასცდა და ცალკეული საგანი თითქმის ათასი პროცენტით გაძვირდა.

დღეს ფართო მასას საშუალება მოესპო რამე სამოსელი იყიდოს და იგი მხოლოდ შეძლებულთა და ბურჟუაზიული კლასების წევრების ხელმისაწვდომათ გადაიქცა. მრეწველ ვაჭრთა ასეთ თავგასულობას ძველი რეჟიმის აგენტები, ძველი მთავრობის წარმომადგენლები ფარულათ თუ აშკარა დახმარებას უწევდენ.

მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. ძველი რეჟიმის დამარცხების შემდეგ ბურჟუაზიული კლასები იძულებული არიან ფართო მომხმარებელი მასის ეკონომიურ მოთხოვნილების ანგარიში გაუწიონ მუშათა და გაჭირვებულ ხალხთა ეკონომიური მოთხოვნები დააკმაყოფილონ

ახლა რევოლიუციონურ მუშათა კლასის შევაგლენით დროებითი მთავრობა და თვით ბურჟუაზიული კლასები იძულებულნი ხდებიან ფართო მომხმარებლის მასის ეკონომიურ მოთხოვნილებას—ნაწარმოების გაიაფებას—ანგარიში გაუწიონ და ამისათვის შესაფერი ორგანიზაციები შექმნან.

ღაზეთათა ცნობით ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი უკვე ახალ პროექტს ამუშავებს საომხედრო მოგების შეზღუდვის შესახებ. პროექტის მიზანია მოგების მაქსიმუმი დააწესოს. ამავე მიზნით უკვე შემდგარა განსაკუთრებული კომისია, რომლის მიზანია შეამციროს არა მარტო ფაბრიკა ქარხნების მოგება, არამედ ვაჭრებისაც, რომლებიც მწარმოებელსა და მომხმარებლებს შორის შუამავლის როლს ასრულებენ და რომლებიც ისედაც გაძვირებულ ნაწარმოებს სპეკულიაციის მეოხებით ერთი ორათ აძვირებენ. ვაჭრობა-მრეწველთა მოგების შეზღუდვა კანონის გზით მოხდება და ეს საკანონმდებლო დაწესებულებაში გატარდება.

დიახ, დღეს მუშათა კლასის გამარჯვება შრომის პირობების გაუმჯობესობით და სამუშაო დროის შემცირებით არ კმაყოფილდება. ის რაც მან ხელფასის მომატებით და სამუშაო დროის შემცირებით მიიგო, ნაწარმოების ზედმეტ ფასებში ყიდვის დროს უკანვე ერთმევა. მუშათა კლასის და საზოგადოთ დემოკრატიის ხელფასის მომატება სრულიადაც არ ნიშნავს მის რეალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ხელფასი მოემატა, სამაგიეროთ მისი რეალური ძალა სრულიად დაეცა.

აი სწორეთ ამის საწინააღმდეგოთ სდგება ეგრეთ წოდებული მრეწველ ვაჭართა მოგების შემზღუდველი კომისია. სასურველია ასეთ კომისიაში მუშათა კლასის წარმომადგენლებმა ფართო მონაწილეობა მიიღონ და მოგების განსაზღვრით ნორმალურ კალაპოტში ჩააყენონ.

## ჩვენი ეგნატე ნინოშვილი.

(მოგონება).

დღეს, 30 აპრილს, შესრულდა 23 წელიწადი, მას შემდეგ, რაც ეგნატე ნინოშვილმა საუკუნოდ დახუჭა თვალი. „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“; რჩეულთა შორის ეგნატე რჩეულთაგანი იყო. „სოფელსა შინა იყო სოფლისათვის ეწამა, მაგრამ სოფელმა იგი ვერ იცნო“. ვერ იცნო მაშინ, ვერ დააფასა ღირსეულად, მაგრამ დღეს ეგნატე კვლავ ცოცხალია, დღეს მას უკვე იცნობენ, მის ამაგს უკვე აფასებენ, დღეს ყველა გრძნობს თუ ვინ დავკარგეთ...

ეგნატეს ახლოდან ვიცნობდი. სიკვდილის წინ ორი თვით ადრე მე და დიმ. კალანდარიშვილმა ვნახეთ. მხნეთ იყო, თავის ბელეტრისტულ ნაწარმოებს დიდათ არ აფასებდა და გადაწყვეტილი ჰქონდა კრიტიკისათვის მოეკიდა ხელი. ბევრ საზოგადო მოღვაწეს ვიცნობ, მაგრამ ეგნატესებური თავაზიანი, კდემა მოსილი ადამიანი სხვა არავინ მეგულება. მზად იყო სხვას მთლათ დასდებოდა, სხვისათვის არა რა დაეზოგა, მაგრამ სამაგიეროს სხვისგან არას მიიღებდა. არ მგონია, ვინმეს იამაყოს იმით, რომ ეგნატემ მისგან პირადი პატივის ცემა, მცირე რამ სამსახური მიიღო. ის არავისაგან, თვით ახლობელი მეგობრისაგანაც კი არას იღებდა. მის მეგობარ პატივისმცემელთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა, მაგრამ მაშინ (სიკვდილის დღეებში) მაინც მცირე იყო—თითებზე დაითვლიდი. ხალხი, მასა მას არ იცნობდა, არ იცნობდა არც მისი სოფელი. ეს არც საკვირველია, რადგან მაშინ ხალხი თვით ეგნატეს მიერ დასურათებულ მოსე მწერალს მეტათ აფასებდა, ვიდრე ხალხის მოჭირნახულეს. ხალხი აფასებდა გავლენას და ფულს. ამას კი ეგნატე ორივეს მოკლებული იყო. ხალხის შვილებში ეგნატეს პატივისმცემელი იყო მისი აღმზრდელი ნინო. არ ვიცი ნინო ნათესაური გრძნობით ელოლიავებოდა თავს ეგნატეს, თუ ამ სოფლის დედაკაცსაც ინსტიქტურათ სწამდა ეგნატეს დიადი ძალა. ეგნატეს მეგობრებიც ნინოსაც დიდათ უყვარდა, სიხარულით არ იცოდა, რა ექნა, როცა მის ქოხში დაგვინახავდა. ეგნატეს სიამოვნება მისთვის ყველაფერი იყო.

ეგნატეს სიკვდილი ქუთაისში გავიგეთ. მეგობრებმა, გადავწყვიტეთ დასაფლავების დღეს დავსწრებოდით, ქუთაისის ახლად გახსნილ სამეურნეო სკოლაში გვირგვინები დავაკეთებინეთ. წარწერები კიდევ ივ. კილაძემ დაამზადა. 8 მაისს კვირა დილით (დასაფლავების დღეს) ქუთაისის სადგურზე მივედით, თან რვა გვირგვინი გვაქვს. სადგურზე შევნიშნეთ, რომ ერთი ვეება გვირგვინი კაზაკებს მიაქვთ. გაგვიკვირდა, არ ვიცით ვის პატივსაცემლად მიაქვთ. ამ დროს ერთი ჩოხოსანი გვეკითხება: თქვენ ეს გვირგვინები ერისთავის ცხედრის შესამკობლად მიგაქვთ ხომ? ვიწყინე, შეურაცხყოფად მივიღე და უკმეხად ვუთხარი: რაფიელ ერისთავი ჯერ ცოცხალია და სხვას გვირგვინს კი არა, გვიმბრას არ დავაყრი თავზე...

ამას იქეთი სკანდალი მოყვა, რომ კინაღამ ამკუწეს. დამმალეს ამხანაგებმა და მით გადამარჩინეს.

მზე კარგად ამოსულია, რიონში ვართ, თფილისის მატარებელი ჩერდება, არ ვიცით რომელ ვაგონში შევიდეთ. აქეთ, იქეთ, აქ ვართ თქვენები! გვეპატიჟებიან. გვირგვინებით გვიცნეს, რომ მათიანი ვართ. მესამე კლასის ერთი ვაგონი თითქმის მთლად უჭირია თფილისიდან წამოსულებს, ვაგონს ამშვენებს გვირგვინები, ყვავილების სუნით ვაგონი გაჟღენთილია. ვბინავდებით, ერთი-მეორეს ვეცნობით. გიორგი წერეთელი, გრ. ყიფშიძე, დან. დუროვი, ჩოლოყაშვილი, ლადო დარჩიაშვილი და სხვები აქ არიან. შინაურული ბაასით ჩავდივართ სამტრედიაში. აქაც გვემატებიან სამტრედიისა და ფოთის წარმომადგენლები—პეტრე გელეიშვილი და ვარდენ ყიფიანი, გვირგვინებით. ორიოდე ნიგოითში მოგვემატა. ლანჩხუთშიაც 5—6. ამბავი კი ნიგოით-ლანჩხუთშიაც გავრცელდა, რომ ჯუმათში ნინოშვილის დასაფლავებაზე დიდძალი ხალხი მიდის თფილის-ქუთაისიდანო. ეგეთი ამბავი ჩაიტანეს სუფსაში და სამივე ადგილიდან უფრო სირცხვილით (უცხო სტუმრებთან არ მოვიჯაყოთო), ვიდრე შეგნებით, დასაფლავებაზე ბევრნი მოვიდენ. ჯუმათი მაშინ სულ პატარა სადგური იყო, ბილეთის გაყიდვის ნებაც არ ქონდა. სანამ ჩვენ გადმოვიბარგებოდით, კარგა დრო გავიდა, მატარებელი ჩვეულებრივზე მეტხანს გაჩერდა. სილ. ჯიბლაძის განკარგულებით აქ დაგვხვდენ ეგნატეს მეზობლები, რომლებიც მოგვეხმარენ გვირგვინების წაღებაზე. მივდივართ დარაზმული, ასზე მეტი ვიქნებით, თან 32 გვირგვინი მოგვაქვს. გიორგი წერეთელი ამბობს, ამდენი გვირგვინი გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზედაც არ იყოო. იმ დროს სოფელში გვირგვინი სულ ახალი ხილი იყო, უცნობი. ეგნატეს სოფლამდე სადგურიდან ორი ვერსი იქნება. გადავიარეთ წაბლის სერი. შემოგვესმა გულსაკლავი ტირილი და მოთქმა. ეზოს ლობეს რომ მივუახლოვდით ვარდენ ყიფიანმა გიორგი წერეთელს განუცხადა, მე ჩვენებუ-

რად, იმერულად ვტირებო. გიორგიმ მოუწონა. ვარდენმაც ეზოში ჩასვლისათანავე დაიწყო: ვაი, ვაი უბედურ ჩვენს დღეს, ძმაო ეგნატე, ნუთუ დასტურ გვილალატე, რა ეშველება აწი გოგია უიშვილს, ქრისტინეს, სიმონას და სხვა... (თან ხელებს თავში იშენს). გათლილი მუხის კუბო გარეთ ასვენია, ვარდენიც დაემხო კუბოს და ზედ თავს უმოწყალოთ ახეთქებს. ტირილისაგან ყურთა სმენა აღარაა. ნაქარნახულევი ნინო გაშტერებულია, ტირილისაგან დაოსებულია. ჩვენი მისვლის ხმა სოფელშიაც მყის გავარდა. მოდიან სოფლელებიც, გვიერთდებიან. მოსთქვამენ: „თურმე ვინ გვყავდი ჩემო ეგნატე, ჩვენ კი არ ვიცოდით, რაფერ გვილალატე“... სოფლელები ახლა გრძნობენ, თუ ვინ ყოფილა ეგნატე და მოთქმა-ტირილით უნდათ გამოისყიდონ დანაშაული. ხალხი თანდათან ემატება. ამოდის სოფლიდან თადი ვახ. გურიელი, რომელიც ჩვეულებრივი დარბაისლური კილოთი და მშვენიერი ქართული ენით სტირის კუბოსთან დაჩოქილი. ბევრ ქალებს დახოკილი პირისახიდან სისხლი სდის. შუადღის 12 საათზე მიცვალებულს ხელით მივასვენებთ ეკლესიაზე. ძნელი ასაწერია კუბოს ეზოდან გადასვენება. ბედ-შავ ნინოს გული მისდის. ირგვლივ ცრემლთა ღაპაღუპია... ეკლესიაზე ერთი ღირს შესანიშნავი სცენა მოხდა: ანდერძის აგების დროს მოხუცმა მთავარ-დიაკონმა მიმართა ეგნატეს ბიძას ალექსის და უთხრა: —აი ეს (შენდობის წიგნი) იცოდე ათი შაური ღირს.—„წაიღე იქით, ჩემს მიცვალებულს თქვენი შენდობის წიგნი არ სჭირია“. მაშინდელ დროს ასეთი პასუხი და ისიც მოხუცებულ ღვთის მოყვარე გლეხიდან საკვირველი იყო და კიდეც გაგვიკვირდა.

ანდერძის აგების შემდეგ მიცვალებული სასაფლაოს (ეკლესიის ეზოში) პირად დავასვენეთ. აქ პირველი სიტყვა გიორგი წერეთელმა წარმოსთქვა. ახალი იდეების მოციქული ძველმა მოღვაწემ იცნო და დაახასიათა. სიტყვების წარმოთქმამ სამ საათზე მეტი გასტანა. განსვენებულმა ლადო დარჩიაშვილმა (მაშინ სულ ახალგაზდამ) საათზე მეტი ილაპარაკა და მარქსისტული მოძღვრების თვალთა ხედვის ისრით გააშუქა ეგნატეს ცხოვრება. ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ს. ლ. ჯაბლაძის სიტყვამ. ეგნატეს სილიბისტრო არ მოშორებია სიკვდილის ჟამს, ამხანაგთა შორის ის იყო ყველაზე ახლობელი ჭირისუფალი. სილიბისტრო სიტყვას ჯერ კითხულობს, მაგრამ ერევა გრძნობა და ფაფარ აყრილი და დაჭრილი ლომივით ის განაგრძობს ზეპირათ. თითეული მისი სიტყვა ეგნატეს მტერთათვის გავარვარებული მეხის ნამტვრევთა. ის გრგვინავს და მოგვიწოდებს შური ვიძიოთ. სილიბისტროს სიტყვა ყველას გულს ხლავს, გვაჟრჟოლებს. არ ვიცი ამ დროს რომ ვინმე გამოჩენილიყო ეგნატეს მტერთაგანი, თუ რას უზამდით, დარწმუნებული ვარ ლუკმა ლუკმა დავგლეჯდით...

სიტყვები წარმოსთქვეს დასაფლავების შემდეგ სადილზედაც, მაგრამ აქ ვარდენ ყოფიანმა გადაამლაშა და მესტვირულებს მიჰყვა. დღეს ასეთი დასაფლავება არავის გააკვირვებს, მაგრამ მაშინ და ისიც ყრუ სოფლად უჩვეულო რამ იყო.

ეგნატეს საფლავი კვლავ ჩვენი მოძღვარია, ის კვლავ მოგვიწოდებს განვაგრძოთ წინ სვლა. მართალია დღეს შეგვიძლია ეგნატეს ვახაროთ თვითმპყრობელობის დამხობა, მაგრამ ვიდრე სოციალიზმის დამყარებას არ ვახეირებთ ეგნატე მანამ კმაყოფილი ვერ იქნება. ეგნატეს ძეგლის დადგმას აწი წინ აღარა უდგას რა და ეს აღარც უნდა დავაყოვნოთ.

აპ. წულაძე.

# პრესა.

ჩვენი ბოლშევიკების ორგანო „კავკაზ. რაბ.“ ლენინის ხმას აყვა და მის ყოველ უაზრობას თუთიყუშივით იმეორებს. მას ხელათ დაავიწყდა ის, რასაც ლენინის გამოსვლამდე სწერდა, დაავიწყდა ისიც, რომ პირველი ცნობა—ლენინის მიერ კომუნისტური პარტიის ქადაგების შესახებ—მან ინსინუაციათ დასახა. ახლა იგი თვითონ ქადაგებს ამ კომუნიზმს, ანარქიზმს, ან მარქსისტულ ლოზუნგს „დაუყონებლივ სოციალიზმის განხორციელებისას“. თქვენ არ გჯერათ? თქვენ გგონიათ რომ ასეთი ანარქიზმი მარქსისტის ანა-ბანის მცოდნეს თავში არასოდეს არ მოუვა:

მაშ აი იხილეთ.

„კავკ. რაბ.“ № 38 მოყვანილია თვით ლენინის წერილი, რასაკვირველია, უკომენტაროთ. აბა მას კრიტიკას როგორ გაუბედავენ ჩვენი ბოლშევიკები? აი რას სწერს ეს ახლახან მოვლენილი მოციქული ანარქიზმისა.

„ლუი ბლანოვშჩინამ დღეს სრული გამარჯვება მოიპოვა მემარჯვენე ფრთის სოციალდემოკრატიაში“ (ბრჭყალები ავტორისაა), პარტიაში ო. კ.—ისა. ჩხეიძე, წერეთელი, სტეკლოვი და სხვ., რომელნიც დღეს ბელადი არიან პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, რომელნიც ბელადობდენ ამ დღეებში დამთავრებული სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების თათბირს, სწორეთ ლუი ბლანის პოზიციაზე დგანან.

ყველა უმთავრეს თანამედროვე პოლიტიკურ საკითხებში ეს ბელადნი სდგანან დაახლოვებით საერთაშორისო მიმდინარეობის „ცენტრის“ კაუცკის, ლონგეს და ტურატის და სხვ. პოზიციაზე, და სწორეთ ამიტომ ლუი ბლანის წვრილ ბურჟუაზიულ პოზიციას იცავენ“.

როგორც ხედავთ, პოზიცია ამ ლიდერების ისეთივეა, როგორც საერთაშორისო სოციალდემოკრატიის ცნობილ მარქსისტების.

მარა, რადგან ანარქისტებიც მათ წვრილბურჟუაზიულ მიდრეკილებებს აწერენ, ლენინიც ამ „წმინდა ჩვეულებას“ პირწმინდათ ასრულებს... მეორე თვისება ანარქისტული აზროვნებისა წარმოადგენს ყოველ მოძრაობაში ერთად-ერთ პრაქტიკული მიზნის წამოყენება—სოციალიზმის დაუყონებლივ განხორციელებას. ლენინი აქაც იცავს ანარქისტთა ლოღიკას.

აი მისი სიტყვები:

„უნდა გაბედული ნაბიჯი გადავდგათ კაპიტალიზმის დასამხობათ. უნდა გადავდგათ მოხერხებული და თანდათანობით, დავემყაროთ რა მხოლოდ მუშათა და ღარიბეს გლეხთა დიდი უმრავლესობის შეგნებას და შეკავშირებას. მარა ეს ნაბიჯები უნდა გადავდგათ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა რუსეთის ზოგიერთ ადგილებში უკვე გადადგეს ასეთი ნაბიჯი. დღიურ წესრიგშია დაყენებული გადაჭრილი, უკანდაუხეველი გამოცალკევება ლუიბლანებისაგან, ჩხეიძის, წერეთლისა, სტეკლოვისა ო. კ., ს. რევ. პარტიისა და ამგვართაგან.

უნდა ავუხსნათ მასას, რომ ლუიბლანოვშჩინა ღუპავს და დაღუპავს რევოლიუციის შემდეგ გამარჯვებას, აგრეთვე გამარჯვებას თავისუფლებისა, თუ მასამ არ შეიგნო ამ წვრილ ბურჟუაზიულ ილლიუზიების მავნებლობა და ის შეუერთდა შეგნებულ მუშებს მათ ფრთხილ, მოფიქრებულ და თანდათანობითს, მაგრამ მტკიცე და დაუყონებლივ ნაბიჯებს სოციალიზმისაკენ“.

მაშ ასე უმცირესობა დღესვე უნდა შეუდგეს თანდათანობით სოციალიზმის შემოღებას და ამაში მასსის დიდი უმრავლესობა შეგნებულათ აიყოლიოს. რითი განსხვავდება ეს ანარქისტების ქადაგებისაგან. ან არის მასში მარქსიზმის თუნდ ერთი ნასახი მაინც?

მკითხველი თვით მიხვდება პასუხს.

ვისაც ახსოვს „მოღვაწეობა“ ჩვენი ანარქისტების, ის მიხვდება აგრეთვე, თუ რა საფრთხეს უმზადებს ასეთი გამოსვლები რუსეთის ახალფეხადგმულ თავისუფლებას. მიხვდება, რომ იგი უკეთესათ კონტრევოლიუციას ემსახურება, მიუხედავათ იმისა, სურს ეს მის ავტორთ თუ არა. ამიტომ ყოველ შეგნებულ მუშის ვალია, ასეთ იდეოლოგიას ენერგიულათ შეებრძოლოს და ამით მათი დამღუპველი შეცდომები თავიდან აიცილოს.

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**დამფუძნებელი კრების საარჩევნო პროექტის შემუშავება.**

**პეტროგრადი**, 26 აპრ. დროებითმა მთავრობამ უმართებულეს სენატს ბრძანება მისცა, რომლის ძალითაც მომავალ დამფუძნებელ კრების საარჩევნო პროექტის შესამუშავებელ კომისიაში შემდეგი პირები მიიღებენ მონაწილეობას: პირველი დუმის წევრები კოტლიარევსკი და კოკოშკინი, მეორე დუმის—გესენი, 4 დუმის წევრები მაკლაკოვი და აჯემოვი, აკადემიკოსი ლაპო-დანილევსკი, სახელმწიფო უფლებათა მაგისტრი ლაზარევსკი, საერთაშორისო უფლებათა მაგისტრი ნოლდე, იუსტიციის სამინისტროს წევრი გალპერინი, ვოდოვოზოვი და ავინოვი.

**ციურიხი**. 26 აპრ. 40 პროფესორმა, ტომით რუსმა, რომელნიც ლექციებს კითხულობენ შვეიცარიის უნივერსიტეტებში, განათლების მინისტრს მანუილოვს სთხოვეს ნება მისცეს მათ პროფესორობა გასწიონ რუსეთის უნივერსიტეტებში.

**პეტროგრადი**. 26 აპრ. დროებითი მთავრობამ დაადგინა მოსპოს ციმბირში გადასახლება. ამის მაგიერ სისხლის სამართლის დანაშაულისთვის შემოღებული იქნება სამის წლით ციხეში ჯდომა, ან 4—6 წლამდე გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. კატორღის შემდეგ გადასახლება გაუქმდება.

**პეტროგრადი**. მინისტრ პრემიერმა დიაკოვმა ჩხეიძეს წერილით აცნობა, რომ მთავრობას სურს გააფართოვოს თავის შემადგენლობა იმ პირთა მიწვევით, რომელნიც აქტიურ შემოქმედ ძალას წარმოადგენენ სახელმწიფოში. მინისტრმა სთხოვა ჩხეიძეს აცნობოს ეს სალდათთა და მუშათა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს და აგრეთვე მასში მომუშავე პარტიებს.

ასეთივე მოწოდება გაეგზავნა სახ. დუმის თავმჯდომარეს როძიანკოს.

**პეტროგრადი**. 27 აპრ. ოთხივე სახელმწიფო დუმის დეპუტატების სხდომა გაიხსნა ნაშუადღევის 2 ს. და 25 წუთზე. დეპუტატები სხედან არა ფრაქციების და მიხედვით. პურიშკევიჩისა და შიტოხინის გვერდით ზის სოციალდემოკრატი გუტცენი და მეორე დუმის დეპუტატი ანისიმოვი. არიან დელეგატები ფრონტიდან, აურებელი ხალხია გალიორკაზე. არიან დიპლომატები ბიუკენენი, ტომა, ფრენსისი, კარლოტი და სხვ. დროებითი მთავრობის წევრები დეპუტატებს შორის ჯდებიან. თავმჯდომარის ადგილს იჭერს როძიანკო, რომელიც წინადადებას აძლევს მოწვეულ იქნან პრეზიდიუმში მეორე და მესამე დუმის ყოფილი თავმჯდომარენი გოლოვინი და გუჩკოვი. დამსწრენი ტაშის ცემით ეგებებიან ამ წინადადებას, გოლოვინს ოვაციებს უწყობენ, გუჩკოვი ავათმყოფობის გამო ცოტა დაგვიანებით მოვა. სიტყვას ამბობს როძიანკო. „ბატონებო, ვინემ მეცადინეობას შევუდგებოდეთ უცილობელ ვალათ მიმაჩნია ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ პირველი დუმის თავმჯდომარის, დაუვიწყარი მოღვაწის მურომცევის ხსოვნას. (ყველანი ფეხზე დგებიან). ბატონებო, 11 წლის უკან, 27 აპრილს, ამ კედლებში პირველათ გაისმა თავისუფალი სიტყვა რუსეთის ხალხის მიერ არჩეულთა ბაგეთაგან. მათ გადადგეს პირველი ნაბიჯი „ძმობა, ერთობა და სამართლიანობის“ განსახორციელებლათ, ეს ლოზუნგები მხოლოდ ახლა ტარდება ჩვენს ცხოვრებაში, მათ პირველათ ამ შენობაში ყველას გასაგონათ მოითხოვეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დასჯილთა განთ. (ტაში) მე წინადადებას ვიძლევი ბ. ბ., სალამი უძღვნათ რუსეთის ხალხის ამ პირველ წარმომადგენლებს. (დეპუტატები დგებიან და ოვაციებს უმართავენ პირველი და მეორე დუმის დეპუტატებს). მაგრამ ამ დაუვიწყარ მოღვაწეთა მისწრაფებანი არ განხორციელდა მშვიდობიანობის გზით. ყოველი მათი ნაბიჯი მთავრობის პროტესტს იწვევდა და ბოლოს კიდეც გარეკეს პირველი დუმა. ასეთივე ბედი ეწვია მეორე დუმასაც, რომელმაც თავისი თავი პირველის მიერ დაწყებული მუშაობის გამგრძელებლათ გამოაცხადა. რადგან ორივე დუმა ხალხის საკეთილდღეოთ ისეთი რეფორმების გატარებას ცდილობდა, რომელნიც მთავრობას არ მოსწონდა, მთავრობამ ყოველგვარ კანონის გარეშე გამოსცა სამი ივნისის კანონი და მით დიდათ შეზღუდა ამრჩეველთა უფლებანი და ხალხის მისწრაფებებსაც წინ გადაეღობა.

რუსეთი იცნობს იმათ მოქმედებას და გმირობას, იცნობენ მათ რუსეთის სალდათები. რომლებიც მათთან ერთად იბრძოდენ, იციან ისიც, რომ ომის შედეგები დამოკიდებულია ჯარების ნაწილების განწყობილებაზე და ისიც, რომ ეხლანდელი შეხლა-შემოხლა დროებითია და მალე ჩვენს ჯარს დავინახავთ სამხედრო დისციპლინის ერთგულ დამცველათ, სამშობლოს წინაშე ვალის მოსახდელათ. თქვენ, სახელოვანო მხედრობავ, გეკუთვნის ჩემი სალამი. თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი გამარჯვება და მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცება.

რუსეთი მარტო არ არის ამ საქმეში. სამი წლის განმავლობაში ის თავის მოკავშირეებთან ერთათ შეთანხმებულათ იბრძვის და განთავისუფლებული რუსეთის ხალხი, შეგნებულ საზოგადოებასთან ერთათ ვერ უღალატებს იმ ხალხთ, რომლებიც მასთან იბრვიან ამ მძიმე დროს. რუსეთი ერთგული იქნება მოკავშირეების (ხანგრძლივი ტაში). ბატონებო! დღეს ჩვენ შევიკრიბნეთ აქ ხალხის წარმომადგენლობის დაბადების წლის თავზე. ძველმა რეჟიმმა ჩვენ შეგვაკავშირა სამშობლოს განსათავისუფლებლათ. სამშობლო განსაცდელშია! მას ყოველ მხრიდან მოელის უბედურობა. ერთობაშია ძალა და ამ დროს საჭიროა მტკიცე კავშირი ჩვენი მიზნების მისაღწევათ. ძველი მთავრობის დაცემით, რუსეთი ახალ გზას დაადგა, ფართო დემოკრატიული რეფორმების განსახორციელებლათ. დროებითმა მთავრობამ ეს პასუხისმგებლობა თავის თავზე იდო. (ტაში) მაგრამ დროებითი მთავრობასთან ერთად უნდა იდგეს მთელი ხალხი და მისი დახმარებით შევძლებთ ჩვენი მიზნების განხორციელებას. საჭიროა კანტროლი, ქვეყანამ უნდა უთხრას მთავრობას: ერთგულად დაიცავი კანონი და წესიერება. ჩვენ ნდობით გიცქერით თქვენ და მხარს დაგიჭერთო. (ტაში) დროებითი მთავრობას ჩვენ მოვთხოვთ მალე მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება. მაგრამ ამას შევძლებთ ჩვენ თუ თქვენი ნდობით ვიქნებით აღჭურვილი. (ტაში). ჩვენ რუსეთის ყველა მოქალაქეს უნდა გვახსოვდეს პირველი სახ. სათათბიროს ღვაწლი. მეორე სათათბირო მემკვიდრე იყო პირველის. მთავრობა ფიქრობდა მოესპო მეორე სათათბირო და არ მოეწვია ახალი. მაგრამ სათათბირო არ გაჰყვა მთავრობის პროვოკაციას. როდესაც მეორე სათათბირომ კანონმდებლობითი მუშაობა დაიწყო—მთავრობას შეეშინდა და გარეკა ის. შექმნეს ს.-დ. პროცესიც. ათი წლის კატორღა იგემეს ჩვენმა ამხანაგებმა. (ხანგრძლივი ტაში). წერეთელს ოვაციებით ხვდებიან. ისმის ხმები: სალამი; დეპუტატები ხელს ართმევენ წერეთელს. (კერენსკი ჰკოცნის). ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ვხვდებით ამ ძველ მებრძოლთ, სახელმწიფო დუმის კედლებში. ჩვენი სალამი მათ. ვუსურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე ხალხის საკეთილდღეოდ (კიდევ ტაში მთელი კრება მეორედ სალამს უძღვნის მეორე სახ. სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის წევრებს). თესლი, რომელიც გადაისროლა პირველმა სახ. სათათბირომ ნაყოფიერად ამოვიდა. ვერც სტოლიპინმა, ვერც 3 ივნისის კანონმა ვერ ჩაახშვეს ის და ეხლა მოწმენი ვართ მათი გასაოცარი ზრდის. მოსამკალი ბევრია და დროებითმა მთავრობამ ეს სამკალი მოხერხებულად უნდა მომკას და შეუნახოს ნამდვილ მის პატრონს—დამფუძნებელ კრებას. (ტაში ხანგრძლივი). დაბოლოს როძიანკო წინადადებას აძლევს კრებას მიესალმოს ჩრდილო-ამერიკის წარმომადგენელს.

**პრემიერ მინისტრის ლვოვის სიტყვა.**

იგი დროებითი მთავრობის სახელით ესალმება დეპუტატებს და განაგრძობს: ჩვენ, დღეს აქ შეკრებილთ ჩვენი თავი შეგვიძლიან უბედნიერეს ადამიანებათ დავსახოთ ქვეყანაზე. ჩვენი თაობა ისტორიის ბრწყინვალე ხანას მოესწრო. მინისტრის სიტყვით ბრწყინვალე თავისუფლების საძირკველი რუსეთში დიდი ხანია ჩაიყარა და დღეს ნათესმა ნაყოფი გამოიღო. ნახევარი საუკუნის უკან შექმნილი წვრილი საზოგადოებრივი ორგანიზაციული— საერობო დაწესებულებანი თანდათან გაიზარდა, შემოიკრიბა გარს ცოცხალი ძალები და ამნაირათ მოხდა ქვეყნის პოლიტიკურათ გაწვრთნა და მომზადება. საერობო და საქალაქო დაწესებულებები ბრწყინვალე ვარსკვლავით ჩნდენ რუსეთის აბსოლიუტიზმის მოკუპრულ ცაზე და მუდამ ოპოზიციაში უდგენ პოლიციურ რეჟიმს. საზოგადოებრივი ძალები თანდათან იზრდებოდენ, ძველი მთავრობა ამაში დიდ საფრთხეს ხედავდა და რითაც კი შეეძლო ებრძოდა ხალხს. იაპონიის ომმა ყველასათვის აშკარა გახადა მთავრობის დამღუპველი პოლიტიკა და კიდეც მოითხოვა ხალხმა საკუთარი ბედის თავისივე ხელში აღება. პირველმა დუმამ აშკარათ გამოხატა ხალხის გულისწყრომა და ყველას დაანახა თვითმპყრობელობის დამღუპველობა. პირველი დუმის თავდადებამ მთელი რუსეთი ამოძრავა და გააღვიძა მასში შემოქმედი ძალები. 72 დღე იარსება მან, მარა ამ ცოტა ხანშიც ულრმესი კვალი გაავლო რუსეთის ისტორიაში. ამ დღიდან დუმა ხალხისა და მთავრობის საბრძოლველ ადგილათ გადიქცა. მთავრობა მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ხალხის წარმომადგენლობა ერთათ დაემუხრუჭებია, დუმა კი იმას ცდილობდა, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა თითონ ჩაეგდო ხელში. მოხდა სასწაული და კიდეც შესძლო ესა. რუსეთის ხალხის სახელი საქვეყნო დემოკრატიული შეიქნა, ის არა მარტო უერთდება საქვეყნო დემოკრატიას, არამედ მის მოწინავე ბელადადაც ხდება, რათა შედგრათ წაიყვანოს იგი თავისუფლების, ძმობის და ერთობის სამეფოსკენ. ბატონებო, ჩვენ უდიდეს შერყევის დროს ვცხოვრობთ, ჩვენ უნდა გადავლახოთ აურებელი დაბრკოლებანი, მაგრამ ის საქმე, რომელთა შესრულება ჩვენ გვხდა წილათ უკვდავია და არ დაიღუპება. დიდი რევოლიუცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა, მაგრამ ყოველი დღე გვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენ ბრწყინვალე მომავალი მოგველის. ამის თავდებია ის ჰუმანიზმი, სულგრძელობა და გონიერება, რომელიც თან დაჰყვა ჩვენს რევოლიუციას, რუსეთის სულიერ ცხოვრებას ამოძრავებს არა სიამაყე, არამედ სიყვარული, მე დავასრულებ ჩემს სიტყვას ჩვენი დემოკრატიული მოკავშირის თავისუფლებისათვის მებრძოლის შვილის სიტყვებით: „დეე, სხვები მოიცვას უიმედობამ, მე კი ჩემ თავში არასოდეს ეჭვი არ შემეპარება“.

**ნაბოკოვი** უცხადებს კრებას, რომ პირველი სახ. დუმის დაუვიწყარ თავმჯდომარის მოგონების შემდეგ საჭიროა მოვიგონოთ სხვებიც, ამ დღეს 11 წლის წინად პირველი სიტყვა, რომრომელშიაც გამოითქვა ხალხის სინდისის მოთხოვნილება—სიტყვა ამნისტიის შესახებ წარმოსთქვა პეტრუნკევიჩმა (საერთო ტაში). პირველი სახ. დუმა შეიკრიბა ისეთ საარჩევნო კანონების ძალით, რომელსაც რუსეთის აზრი არ ეთანხმებოდა და რაზედაც ჰქონდა სრული უფლება. ჩვენ გვინდოდა ღირსეულნი ხალხის წარმომადგენელნი ვყოფილიყავით, მაგრამ აქ შევხვდით ძველ მთავრობას, რომელიც გაბოროტებით შეგვხვდა და შებრძოლების შემდეგ ჩვენ დავმარცხდით. პირველი გამამხნევებელი სიტყვა ჩვენი დუმის შესახებ მოისმა ინგლისიდან, რომელიც წარმოსთქვა ჩვენი მოკავშირის პირველმა მინისტრმა. ის მართალი გამოდგა. ხალხის წარმომადგენლობის იდეია არ მოკვდა. თუმცა მთავრობა მოპოებულ თავისუფლებას ნელ-ნელა გვართმევდა რეაქციის ხანაში, მაგრამ სინათლემ მაინც შემოაშუქა. შერყეული, ძირგამომპალი შენობა ხალხის განცდის დროს უნდა დანგრეულიყო და დაინგრა კიდეც. ჩვენ უკვე ვხედავთ თუ რა ფორმაში გამოიხატება ხალხის სურვილი. სალამი ამ დიდებულ ბედნიერ დღეებს. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ საშუალება გვეძლევა ვიდღესასწაულოთ სახალხო წარმომადგენლების დღესასწაული. უკვდავი იყოს დაღუპულ მებრძოლთა სახელების ხსოვნა. გაუმარჯოს სახალხო წარმომადგენლობას. (ხანგრძლივი ტაში).

**ვინავერი** ამბობს: როგორც დევნილი ჩვენ ვბრუნდებით ამ ტრიბუნაზე, რომელიც თქვენთვის წმინდა მოგონებაა. 72 დღეს ვმუშაობდით ჩვენ აქ. ჩვენ დუმას ეძახდნენ ხალხის რისხვის დუმას, ზოგიერთი კი ხალხის იმედების. სამი წლის განმავლობაში ჩვენ პოლიტიკურად მკვდრები ვიყავით და ვფიქრობდით, რომ იმედები გაგვიცრუვდა. მხოლოდ ეხლა როდესაც ჩვენ აქ დავბრუნდით—ვხედავთ რომ ტყუილად არ გვიმუშავნია. ჩვენ სალამს უძღვნით იმ რევოლიუციონურ დუმას, რომელმაც პირველმა იგემა ძველი რეჟიმის სუსხი (ტაში. ბრავოს ძახილით). პირველი სიტყვა, რომელიც გაისმა ამ ტრიბუნიდან მოგონება იყო რუსეთის ტანჯულ ხალხის, პირველი ნაბიჯი მათი იყო ამნისტია. (გაცხარებული ტაში. ყვირიან „კერენსკი“ მთელი კრება ფეხზე დგება და კერენსკის ოვაციებს უკეთებენ). ჩვენც ვიცნობდით მაშინ მოგვესპო სიკვდილით დასჯა, და ეხლანდელმა მთავრობამ მასაც დაუდვა ბოლო. (კრება ხელახლავ უმართავს კერენსკის ოვაციებს).

პირველი დუმის საპასუხო ადრესში ჩვენ შევეხეთ სხვათა შორის აგრარულ საკითხსაც, რომლითაც მივმართეთ მაშინ ხალხს. ამ ადრესის ერთ ერთ რედაქტორათ იყო იგივე ლვოვი. (ტაში). ხალხის ნდობა არ უნდა იყოს დანაწილებული. დეე დღევანდელი დღე ფიცის დღე იყოს—მთელი ხალხის ერთობის დროებითი მთავრობის სახით, დეე მან იცოდეს, რომ მთელი ხალხი მასთან არის და დაიცავს მას განსაცდელისაგან. (ხანგრძლივი ტაში)

**ინგლისის სოციალისტები სოციალისტურ კონფერენციას არ ესწრებიან.**

**ლონდონი**. 26 აპრილი. მუშათა პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა უარი სთქვა სტოკჰოლმის სოციალისტურ კონფერენციაზე დასწრებაზე. მან დაადგინა ყოველი ზომები მიიღოს შეთანხმების, რომ სახელმწიფოების ყველა მუშათა პარტიების სოც. კონფერენცია ივნისის რიცხვებში ლონდონში მოაწყოს.

**ს.-დ. კონფერენცია.**

**ხარკოვი**. 26 აპრილი. გაიხსნა საოლქო სოც.-დემოკრატიული კონფერენცია. დასწრო 20 პარტიულ ორგანიზაციაზე მეტი წარმომადგენელი.

დღეს პირველი სხდომაა დემოკრატიულათ არჩეული ქალაქის საბჭოსი. ხმოსანთა შორის არიან წევრები მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატებისა.

**კიევი**. სოც.-დემოკრატების საოლქო ყრილობამ გადასწყვიტა: დაარსდეს მომრიგებელი კამერა, დაიდვას მწარმოებლებთან მტკიცე ხელფასის შესახებ ხელშეკრულება, შემუშავდეს კანონი ხელფასის შესახებ; შემოკლებულ იქნას ქალების და ბავშვების სამუშაო დღე.

**სახელმწიფო დუმის სხდომები.**

**პეტროგრადი**. 3 დუმაც ვერ შეურიგდა მთავრობის პოლიტიკას. 4 დუმის არჩევნების დროს მთავრობამ ყოველივე ღონისძიება იხმარა, რომ იგი მისი მორჩილი დარჩენილიყო. ჯერ კიდევ მოუწყობელი და უმრავლესობის უქონელი დუმა ერთსულოვნათ შეერთდა, როცა დაინახა სამშობლოს გასაჭირი და გადასწყვიტა პოლიტიკური გადატრიალება (ტაშისცემა). ყოვლათ შეუძლებელი გახდა ძველი მთავრობის მოთმენა. ყოველი ზომა ვიხმარეთ, რომ მთავრობა ჭკუისყოფაში ჩაგვეგდო, რომ თავიდან აგვეცილებია სისხლის ღვრა. პოლიტიკურათ მომწიფებულმა საზოგადოებამ ნათლათ დაინახა, თუ სად იყო გამოსავალი ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან, როცა მან ერთსულოვნათ გამოხატა თავისი სიმპატიები პოლიტიკურ გადატრიალებაში. სალამს გიძღვნით თქვენ, როგორც ყოფილ ისე ახლანდელ სათათბიროს წევრებს, რომელთაც პირნათლათ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, რომ მოგეპოვებინათ ბედნიერება, თანასწორობა და ძმობა ყველა რუსეთის მოქალაქისთვის. თქვენს წინაშე არის ბატონებო, ომის პრობლემა. საჭიროა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ აქ, რომ რუსეთს ეს ომი არ უნდოდა, არც ერთი კლასი რუსეთის საზოგადოებისა არ ეძებდა მას და რუსეთის დიპლომატიის მიერ ყოველი ღონისძიება იქმნა მიღებული ომის თავიდან ასაცილებლათ. ჩვენ არა ვართ პასუხისმგებელი ამ სისხლის ღვრაში, მაგრამ დაწყებული საქმე უნდა დამთავრდეს ისე, რომ არ შეილახოს თავმოყვარეობა რუსის ხალხისა (ტაშის ცემა). სავსებით ვუერთდები დროებითი მთავრობის დეკლარაციას, რომელიც ასე მთლიანად და ცხადათ სწყვეტს საკითხს ომის მიზნების შესახებ. ბატონებო! ნუ თუ იმისთვის დავღვარეთ ამდენი სისხლი, რომ მოვიპოვოთ უღირსი მშვიდობიანობა, რომელიც არც ჩვენ პატიოსნებას და არც ჩვენ სახელს შეეფერება! (პურიშკევიჩი ადგილიდან „არასოდეს“! ტაშის ცემა). განა შესაძლებელია, ბატონებო, სეპარატიული ზავი?.. არასოდეს! (ძლიერი ტაშის ცემა) ნუ თუ ჩვენ ვერ მივაღწევთ უფლებისა , სიმართლისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის უფლებებს? მხოლოდ ამას შეუძლია გაამართლოს უსაზღვრო მსხვერპლის შეწირვა და ამდენი სისხლის ღვრა. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგივე იდეალები აღფრთოვანებს ჩვენს მოკავშირეებს (ხმები თანხმობისა), დიახ, ბატონებო, ამ იდეალებისთვის ღირს ბრძოლა არ უნდა დაივიწყოთ, რომ ამ იდეალებს წინ უდგია სხვა ჯურის კითხვები—მსოფლიო გეგემონია, და როგორც ამის შედეგი, ხალხთა დაპყრობა. ეს ორი მცნება არ შეიძლება შეერთდეს. ჩვენ მოწინააღმდეგეებს ვერ შევუერთდებით ამ კითხვებში. ამ კითხვების მიერ გამოწვეული ბრძოლა არ შეიძლება შეჩერდეს, ან ერთმა უნდა გაიმარჯვოს ან მეორემ. (ტაშის ცემა). თუ ღრმათ ჩავუფიქრდებით, დავინახავთ, რომ გერმანიის მილიტარიზმის დამარცხებით შეიძლება მოიპოვოს კაცობრიობამ ბედნიერება. (ტაშის ცემა). მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ომის შესაწყვეტათ, რაც უნდა იყოს, თუ დასახულ იდეალებს არ მივაღწევთ, შეუძლებელია. ის ვერ მიაღწევს მიზანს, არ შეაწყვეტს უთანხმოებას და ეს იქნება არა მშვიდობიანობა, არამედ მხოლოდ დროებითი შერიგება (ხმები: მართალია!). სალ სახელმწიფოებრივ განვითარებას შეადგენს მისი მიზანი ეკონომიურ განვითარებიბისაკენ; ჩვენ ამ ხრივ დავუკვირდებით, თუ რა მიზნებს მისდევს გერმანია, დავინახავთ, რომ გამარჯვებაში დაინტერესებულია როგორც კაპიტალისტთა კლასი ისე მუშებისა და სხვა სოციალური ელემენტები. გერმანიას არ შეუძლია შეამოკლოს თავისი მძლავრათ განვითარებული წარმოება. გერმანია ამით ცხოვრობდა და ამით იყო მდიდარი, და თუ მოწინააღმდეგები ამას დაარღვევენ ამით დაირღვა მისი წარმოების ბატონობა, რაც

გამოიწვევს კაპიტალისტების და მუშების ინტერესების დარღვევასაც. ამ საზოგადო ინტერესებით აიხსნება, თუ რათ უჭერს მუშათა კლასი მხარს მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას.

როგორც ნამდვილი პატრიოტი, რეალურ ნიადაგზე მდგარი, ის უჭერს მხარს რეალურ გზას, რაც მ თ სამშობლოს მიანიჭებს ბედნიერებას. ღრმათ და ძლიერათ ვარ დარწმუნებული, რომ საჭიროა ომი მივიყვანოთ გამარჯვებამდის ჩვენ მოკავშირეებთან ერთად. (ტაშის ცემა). ეს უნდა ახსოვდეს ყველას და განსაკუთრებით ჩვენ სახელოვან ჯარს. ის არის დამცველი ხალხის პატრონსნებისა. (ტაშის ცემა). ხმებია ვითომ ჩვენ ჯარს არ სურს ბრძოლა; მე არ მწამს ეს ხმები. ვერ წარმომიდგენია, რომ ჩვენი სალდათი, რომელსაც მე პატივს ვცემ, მოლაპარაკებას აწენდეს მოწინააღმდეგესთან. ვერ წარმომიდგენია, რომ ჩვენმა სალდათებმა ყოყმანი დაიწყონ იმ დროს, როცა საჭიროა თავდაცვა და მით უმეტეს იმ დროს, როცა ჩვენი მოკავშირეები არ ზოგავენ სისხლს და ცდილობენ შეამსუბუქონ ჩვენი მდგომარეობა. დეპუტატები დგებიან და სალამს უძღვნიან მოკავშირეთა წარმომადგენლებს. გრონსკი იძახის: „გაუმარჯოს სოციალ. ალბერტ ტომას“ (ძლიერი ტაში). მე არ მჯერა მაღლა არ დაიჭირონ დროშა ჩვენი ქვეყნის პატრონსნებისა და ღირსებისა. მე მწამს, რომ ის შეასრულებს თავის ვალს, როგორც ყოველთვის (ძლიერი ტაშისცემა). რევოლიუციონურმა ტალღამ პოზიციებამდისაც მიაღწია. რასაკვირველია, იქაც მოხდა ექსცესები, მაგრამ ჩვენი აფიცრების უმრავლესობა არ არიან იმ საყვედურების ღირსი, რომელიც იქიდან გაისმის მათ შესახებ.

**პეტროგრადი.** 26 აპრილი. უკრაინის მეხუთე არმიის დელეგატებმა წარუდგინეს დროებითი მთავრობას რეზოლიუცია, სადაც საჭიროთ ალიარებენ უკრაინულ ჯარის შექმნას და უკრაინულ პოლკების შევსებას მხოლოდ უკრაინელებით.

**პეტროგრადი.** შესდგა ფინანსიური კომისია, რომელშიც შევიდენ: 4 წევრი სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტისა, 4 წარმომადგენელი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებისა, 1 აფიცრების დეპუტატებისა, 3 სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირისა, 3 კოოპერატივების წარმომადგენლები, 1 ერობებისა და ქალაქების წარმომადგენელი და სხ. სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებისა.

შესდგა განსაკუთრებული კომისია მცხოვრებთა პირველ საჭირო ნაწარმოებების დასაკმაყოფილებლად.

**ნოვოჩერკასკი.** 26 აპრილი. ჯარის ყრილობაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც კაზაკების კერძო საკუთრებათ მეფის მიერ დარიგებული მიწები უნდა გამოყიდულ იქმნას სახელმწიფო ხარჯით და დაურიგდეს მკვიდრ დონის მცხოვრებთ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით. ყაზახებს უნდა დარჩეს საუფლისწულო მიწები. ყაზახები და არა ყაზახები ხუტორიდან დაწყებული სტანიცამდე უნდა ერთათ აწყობდენ თვითმართველობას. ქალებს მიაკუთვნეს ხმის უფლება, რამაც დიდი ტაშისცემა გამოიწვია. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველამ, ვისაც 20 წელი შეუსრულდა.

**პეტროგრადი.** 26 აპრილი. დროებითი მთავრობის მოწოდება. „ომმა იმდენათ დაასუსტა ეკონომიური ცხოვრება რუსეთისა, რომ ბევრი საჭირო ნივთები ძალიან ნაკლებათ მოიპოვება და ისიც აწეულ ფასებში. დროებითმა მთავრობამ გადაწყვიტა პური გადავიდეს მთავრობის ხელში, ამასთანავე მიიღო თავის თავზე სოფელს მიაწოდოს სამრეწველო ნაწარმოებნი. საჭიროა, რომ იმისთანა ნაწარმოებნი როგორიც: რკინა, იარაღი, ნაქსოვი, ჩაი, ნავთი, საპონი, ქაღალდი და სხ. მცხოვრებთ მიეწოდოს გადაჭრილ ფასებში და იმდენი, რამდენიც საჭიროა. ამისთვის დრ. მთავრობა ნიშნავს განსაკუთრებულ კომისიას.

## ახალი ამბები

**ლანჩხუთის საზოგადოების საყურადღებოთ.** როგორც გადმომცეს ლანჩხუთის საზოგადოების მცხოვრებნი ბრალათ სდებენ გრ. ურატაძეს, მღ. ეპიფანე ჩხაიძეს, პართ. ცინცაძეს, პართ. იბრალიძეს, ზოსიმე ნ ღარაშვილს, ვარ. იბრალიძეს, ივ. იმნაიშვილს, თითქოს მათი მეცადინეობით ლანჩხუთელებისთვის მეორე აფთიაქის გახსნის ნება მთავრობას არ დაერთოს. მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს სიმართლის აღსადგენათ განვაცხადო, ვინაიდან მეორე აფთიაქის გახსნის საქმეს მე კარგათ ვიცნობ, რომ ხსენებული პირები აქ არაფერ შუაშია. ამ საქმეში არავითარი დანაშაული მათ არ მიუძღვით. დეპუტატი **აკაკი ჩხენკელი.**

◆ **დაიკარგა** მუშათა საბჭოს მიერ მოცემული მანდატი 23 მარტის თარიღით ღ სამხედრო სამსახურის შეღავათის მიმცემი მოწმობა, მოცემული თელავის სამხედრო უფროსისაგან წარსული წლის 28 აგვისტოს თარიღით. ვთხოვთ მპოვნელს დამიბრუნოს ეს დოკუმენტები გადასცეს წ. ქ. საზ. ვ. ბურჯანაძეს.

◆ პეტროგრადისა და მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დადგენილების თანახმათ თფილისის ტრამვაის მუშებმა საერთო კრებაზე დაადგინეს გადასცეს თფილისის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებს წითელი ლიტერატურის შესაძენათ ერთი დღის ქირა, რაც შეადგენს 590 მ. 74 კ. ეს ფული უკვე გადაეცა დ ნიშნულებისამებრ.

◆ **მუშათა საბჭოს** აღმასრულებელი კომიტეტი გულითად მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, ვინც მონაწილეობა მიიღო 27 აპრილს ფრონტის სიეზდის დამსწრეთათვის გამართულ კონცერტში.

◆ **დეზერტირების საყურადღებოთ** თფილისის სამაზრო სამხედრო უფროსი (ВОИНСКІЙ НАЧАЛЬНИКЪ) ყველა დეზერტირების საყურადღებოთ აცხადებს, რომ დროებითი მთავრობის თანხმათ მათ დანაშაული ეპატიებათ, თუ 15 მაისამდი ისევ დაბრუნდებიან ჯარში. ბევრი სალდათი, რომელთაც შეიგნეს დღევანდელი ისტორიული მომენტის სიდიადე, უკვე ბრუნდება ჯარში, რათა იარაღით ხელში დაიცვას მოპოებული თავისუფლება, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტერთაგან. ყველა ვინც თავის თავს გრძნობს თავისუფალ ქვეყნის ღირსეულ შვილათ, ისე უნდა მოიქცეს; დღეს საერთო საქმე კეთდება, პირადული ინტერესები დავიწყებული უნდა იქნას.—ეს განცხადება შეეხება იმ პირთაც, ვინც იმალებოდა და ჯარში სულაც არ გამოცხადებულა.

◆ **როგორც სარწმუნო** წყაროებიდან გავიგეთ № 37 ლაზარეთის ექიმი სემიონოვი ერთობ უდიერათ ექცევა მუშებს და ყოველ გვარ მათ მისწრაფებას წინ ეღობება. ექიმს თითქოს მიზნათ დაუსახავს, რომ დღევანდელი თავისუფლებით არას გზით არ ისარგებლონ მუშებმა და ძველებურათ ყურმოჭრილ მონებათ დარჩენ.

◆ **დურგალთა შორის.** 23 აპრილს შედგა თფილისის დურგალთა კრება პროფესიონალური კავშირის შესადგენათ. თავმჯდომარეთ აირჩიეს ტატო ოდიშვილი, მდივნათ ალ. პორტნოვი; ყოფილმა მამასახლისმა კაპანაძემ უარი განაცხადა თავის მოვალეობაზე, მის მაგიერ ერთხმათ აირჩიეს ტ. ოდიშვილი, მის ამხანაგათ ტიმოფეი ჩეკლაკოვი, ხაზინდრათ ის. ოძელაშვილი, მდივნათ ალ. თვალიაშვილი. კრებამ გადასდო წითელი ლიტერატურისათვის 90 მანეთი, გაზეთ „პაიკარისა“ „კავკ. რაბოჩისა“ და „ერთობის“-თვის თითო თუმანი.

◆ 27 აპრილს ქალაქის პირველ დაწყებით სკოლის მასწავლებლების კრებაზე მასწავლებლებმა მოითხოვეს სკოლის გამგე ტალიძეს ქალის სამსახურიდან გადაყენება. ტალიძეს შესახებ დელეგატ აგაფონოვის ქალმა ვრცელი მოხსენება წარმოადგინა. კრებამ მსჯელობა იქონია ამ საქმეზე და დაადგინა პასუხი მოთხოვონ ქ-ნ ტალიძეს.

◆ **მუშათა საბჭოსთან** არსებულ პროპაგანდისტთა კოლეგიის საზოგადო კრებები ხდება ორშაბათობით საღამოს შვიდ ნახევარ საათზე.

◆ **ბაუერის ბედი.** მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა პეტროგრადის მუშათა დ პუტატების საბჭოს დახმარებით ზომები იქნას მიღებული, რათა ცნობილი ს. დ. თეორეტიკოსი ნაციონალური საკითხისა ოტტო ბაუერი თურქესტანის მხრიდან დაუყონებლივ გადმოიყვანონ თბილისში. როგორც ვიცით ბაუერი ავსტრიის ქვეშევრდომია და ომის დროს ტყვეთ ჩაუვარდა რუსის ჯარს.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 7 ნახ. საათზე, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში ი. ხელაძე პროპაგანდისტთა კოლეგიის მოსასმენათ წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „დემოკრატიული რესპუბლიკა და მუშათა კლასი“. ხვალ პირველ მაისს, იმავ კოლეგიისთვის ა. თუმანოვი წაიკითხავს ლექციას: „აგრარული საკითხი“.

◆ თფილისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გააფართოვოს მუშათა წარმომადგენლობა საბჭოში. დღემდის ყოველი ორასი მუშა ერთ დელეგატს ირჩევდა; კომიტეტის უკანასკნელი დადგენილების თანახმათ კი 100 კაცმა ერთი დელეგატი უნდა აირჩიოს.

◆ რესტორანების, კლუბების, სასტუმროების და სხვ. ამგვარ დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონალური კავშირის გამგეობა სთხოვს გაფიცულ ამხანაგებს, რომ არამც და არამც არ წავიდნენ კისლოვოდსკში და მათ იქ გაფიცულ ჩვენს ამხანაგებს რაიმე ზიანი არ მიაყენონ. ამასთანავე გამგეობა საჭიროთ სცნობს გამოაცხადოს, რომ ხაზეინებთან ერთათ უკვე მოხდა შემრიგებელი კრება და იმედი გვაქვს საქმეს სასურველათ დავასრულებთ. იმედია შტრეიკბრეხერობას არავინ გასწევს.

◆ მუშათა საბჭომ მიიღო 24 მ. 70 კ. რევოლიუციური ლიტერატურის სასარგებლოდ ეპარქიულ წმ ნდა სანთლის მუშებისგან.

◆ ყარსის ოლქისა და განჯის გუბერნიის გლეხობა შეკავშირების მხრივ ერთობ ჩამორჩენილია. ვ ნაიდან ამ ადგილებში მოსალოდნელია გამწვავება ნაციონალური საკითხის, რასაც ხელს შეუწყობენ ადგილობრივ ბეგები და სომხის ნაციონალისტობა, თფილისის საგანგებო კომიტეტთან არსებულმა საგლეხო კომისიამ დაადგინა ზომები მიიღოს ამ გუბერნიების გლეხთა შორის გლეხთა დეპუტატების საბჭოების შესაქმნელათ, რათა თავის დროზე გაეცეს პასუხი ყოველგვარ კონტრრევოლიუციონურ მოქმედებას.

◆ **მძარცველების გამოტეხა.** როგორც უკვე ცნობა გვქონდა თფილისში ამ დღეებში ფოსტის გამძარცველებიდან რამოდენიმე კაცი უკვე დაიტუსაღეს. ერთი მათგანი ალი-ზადეოღლი უკვე გამოტყდა დანაშაულში და კიდეც დაასახელა თავდასხმის ჩადენა. მათ ენერგიულათ ეძებენ.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, 30 აპრილს, დილის 10 საათზე „ერთობის“ რედაქციაში მოხდება რ. ს. დ. მ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო და თფილისის კომიტეტების შეერთებული სხდომა.

— სამშაბათს 2 მაის საღამოს 7 საათზე პუშკინის სამკითხველოს სადგომში შესდგება მეოთხე რაიონის კოლექტივის კრება. ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ.

— სასურსათო კომიტეტი მე 6-ეს ნაწილის საორგანიზაციო ბიუროსი გთხოვთ მოქალაქენო! (მე 6 სე ნაწ.) მობრძანდეთ კვირას, 30 აპრილს, 12 საათზე მჟავაშკოს თეატრის დარბაზში, თელავის ქუჩა № 51 სასურსათო კომიტეტის წევრების ამოსარჩევათ.

— დღეს დილის ცხრა საათზე სახელოსნო კლუბის შენობაში დანიშნულია ლითონზე მომუშავე მუშების კრება. საჭიროა კრებას რაც შეიძლება მეტი მუშა დაესწროს.

— კვირას 30 აპრილს საღამოს 5 საათზე დანიშნულია საზოგადო კრება სათავად-აზნაურო გიმნაზიაში წვრილ ვაჭართა 1 და 2-რე უბნის კომიტეტის ასარჩევად.

— ხარფუხ-დამოქნელ ქალთა საზოგადოების მორიგი საზოგ. კრება მომავალ კვირისათვის გადაიდო.

— დღეს, 30 აპრილს, ნაძალადევში თეატრის ახლო მოედანზე დანიშნულია მიტინგი 1-ლ რაიონის კოლექტივის ხელმძღვანელობით. მიტინგის საგანს შეადგენს, ომი და ზავის საკითხი. დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.

— დღეს, დილის ათ საათზე, მოხდება სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში წვრილ მოსამსახურეთა შორის პროფესიონალური კავშირის დამაარსებელი კრება.

— მერვე უბნის დროებითი ბიუროს თავმჯდომარე, ა. ნ. ათაბეგოვი დასახელებულ უბნის მცხოვრებთ აუწყებს, რომ დღეისთვის შემდეგი რაიონული კრებები დანიშნულია: 1. დესიმონოვის მოედანზე, საქალაქო საწორთან—დღის 3 საათზე. კრებას გახსნის ჯგუფის თავმჯდომარე მეზპროზვანოვისა. 2. სურფსკარაპეტის ხევთან დილის 11 საათზე ჯგუფის თავმჯდომარეა აპრიანოვი. 3. ბებუთოვის ადგილზე რკინის გზის ლიანდაგ გადაღმა ნაშუადღ. 3 საათზე თავმჯდომარე ათაბეგოვი. ჩუღურეთში, პირველდაწყებითი სკოლაში, მე-2 საკომერციო სასწავლებლის პირდაპირ, პანსკევიჩის ქუჩაზე, ნაშუადღევის 4. საათზე. თავმჯდომარეობს ა. სოლოვიანი. 5. პირველ საკომერციო სასწავლებელში ნაშუად. მე-3 საათზე, თავმჯდომარე მამალაძე.

— დღეს, დილის 11 საათზე, მკერავ ქალთა პროფესიონალური კავშირის საორგანიზაციო ბიურო იწვევს ამხანაგ ქალებს. კრება მოხდება ეფიმოვის ცირკის შენობაში.

— დღეს, ვაჟთა პირველი გიმნაზიის შენობაში (გოლოვინის პრ.) მოხდება მეჩექმეების, ხარაზების და სხვათა კრება, რომლის მიზანია პროფესიონალური კავშირის დაარსება.

— ქ. თფილისის ცენტრალური ბიურო ქალთა შეერთებული ორგანიზაციისა იწვევს ყველა ქალებს განურჩევლათ ეროვნებისა, და კლასისა საზოგადო კრებაზე, რომელიც გაიმართება სახელოსნო კლუბის შენობაში (მიხეილის ქუჩა № 60) დილის 11 საათზე, კვირას, 30 აპრილს.

— დღეს, 30 აპრილს, სომხის სასაფლაოზე (ვერა, პეტროვსკის ქუჩის ზევით) დილის 12 საათზე მოხდება ამიერ-კავკ. ს.-დემოკ. მოსწავლეთა კავშირის თფილისის ორგანიზაციის საერთო კრება. წაკითხული იქნება, სხვათა შორის, რეფერატი ამ თემაზე: „სოციალიზმი და სოციალისტური პარტიები“.

## პროვინციის ქრონიკა.

**დ. ხაშური.** კვირას, 23 აპრილს, სავაჟო და საქალებო გიმნაზიების მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და თანამგრძნობ-მოქალაქეებმა, სწორეთ იმ ადგილას, სადაც შარშან ვერაგულათ მოგვიკლეს ჩვენი საუკეთესო ამხანაგი—რევოლიუციონერი მიხეილ (გუია) რატიანი, გადაიხადეს პანაშვიდი. ამხ. ნ. იმნაიშვილმა და მოსწავლემ ამხ. მგელაძემ მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს.

— ხაშურის რაიონის სოც. დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის კომიტეტის მორიგ კრებაზე 26 აპრილს გადაწყდა ხაშურში პარტიული ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემა, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევენ ამ რაიონის ამხანაგები. ჟურნალის გამოცემის შესახებ საბოლაოთ მოსალაპარაკებლათ საოლქო კომიტეტთან არჩეულ იქნა კომისია: ამხ. თ. ჰუმბურიძე და ნ. იმნაიშვილი. ამასთან გამოითქვა სურვილი საკუთარი სტამბის მოწყობისა ხაშურში.

**სოფ. წალვერი.** სოფლის ხალხმა გადააყენა სამ ხურიდან წალვერის დაჩის ლესნიჩის თანაშემწე მიხეილ მურმანიშვილი, რომლის წ ნააღმდეგ სხვა და სხვა ბრალდებებია წამოყენებული.

**სოფ. ლუბრუმა.** (ქართლი). კვირას, 23 აპრილს ამ სოფლის მცხოვრებლებმა—დეზერტირებმა ლადო და ათასიან ქიმერიძეებმა, პირად ანგარიშების ნიადაგზე, ხანჯლით თავში დასჭრეს მძიმეთ თავიანთი მეზობელი ვასო ღვალაძე.

**ნიქოზითი.** ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტმა ვასილ არდიშვილისაგან მიიღო შემოწირულება ხარჯების დასაფარავად ასი მანეთი.

ადგილობრივ სამკითხველოს გამგეობას რომელიც ეხლახანაირჩიეს, საქმიანობა ემჩნევა; ამ დღეებში მოწყობილ წარმოდგენიდგან, რომელიც გაიმართა ალექსანდრა ურუშაძისა და ვლადიმერ მაჭავარიანის თაოსნობით, 238 მან. და 75 კაპ. შემოსავალი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ საქონლის ჭირმა ადგილობრივ გლეხობას ხარების 80 პროცენტი ხელიდან გამოაცალა, მიწები მაინც მუშავდება.

## კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდი.

28 აპრილი.

თავმჯდომარეობს **ევგენი გეგეჭკორი.** კრებას მოხსენდა წინა კრებაზე მიღებული რეზოლიუციის პროექტი მიმდინარე მომენტის შესახებ სიეზდის პრეზიდიუმისაგან შედგენილი, რომელიც წინა კრებაზე სიეზდმა მიანდო.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დღევანდელი ისტორიული მომენტი პოლიტიკური რევოლიუციის განხორციელება,—რომ ამ რევოლიუციას დასრულება დამფუძნებელი კრების შემდეგ დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებაა, რაშიც დაინტერესებულია არა მარტო პროლეტარიატი და გლეხობა, არამედ ბურჟუაზიის პროგრესიული ნაწილიც,—რომ რევოლიუციის გასამარჯვებლათ აუცილებლივ საჭიროა დამფუძნებელ კრებამდი საერთო სახალხო რევოლიუციონურ ძალთა ერთობა, კავკასიის ჯარის დელეგატების პირველი სიეზდი მოუწოდებს ამხანაგებს გაორკეცებულის ძალით დაიცვან რევოლიუციონური ჯარის ერთობა, არ უნდა დაუშვას მასში დაარსდეს ცალკე ნაციონალური და პარტიული ორგანიზაციები, მაგრამ ამავე დროს მასში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სრული თავისუფლება პროპაგანდის, კრებისა და კავშირების ყველა რესპუბლიკანურ პარტიების იდეათა გასავრცელებლათ და თითეულ მეომარს უფლება უნდა ჰქონდეს იყოს წევრი ჯარის გარეშე მყოფ ამა თუ იმ რესპუბლიკანურ ორგანიზაციისა.

რათა განხორციელებული იქნეს ხალხის სრული მმართველობა, სიეზდი აუცილებელ საჭიროთ სცნობს მჭიდრო კავშირის დამყარებას მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებთან და მოუწოდებს ამხანაგებს ყოველგვარი ღონე იხმარონ, რომ სრული ორგანიზაციული ერთიანობა და საერთო გამოსვლანი მოეწყოს სალდათთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებ შორის,

კრების გახსნისთანავე აშკარა იყო, რომ წინა კრების დადგენილობით უკმაყოფილო ჯგუფები აღნიშნული რეზოლიუციის გასაბათილებლათ დარაზმულიყვნენ. ამ განძრახვით შეჰქონდათ შესწორებანი მიღებულნი რეზოლიუციის სადაო მუხლის ძირითადათ შემცვლელი ხასიათის. აღსანიშნავია, რომ ესერების პარტიის ის წარმომადგენლები, რომელნიც წინა კრებაზე პარტიის სახელით გამოდიოდენ და ჯარში პარტიულ ორგანიზაციათა მოწყობას მოითხოვდენ, რაც მათი სურვილის წინააღმდეგ სიეზდმა დიდის ხმის უმრავლესობით უარჰყო, ამ კრებაზე პარტიულათ არ გამოდიოდენ ხოლო ჯარში კავშირის დაარსებას მოითხოვდენ როგორც სიეზდის წევრები. კრებამ დიდი მღელვარების და კამათის შემდეგ უარჰყო ჯარში კავშირების დაარსების წინადადება და მცირე შესწორებით მიიღო პრეზიდიუმისგან წარმოდგენილი ზემოთ მოყვანილი პროექტი.

შემდეგ კრებას მოხსენდა **ნაროდინის** მოხსენება, დროებითი მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ. ის ამბობს: სანამ რასმეს ვიტყოდი დროებითი მთავრობის შესახებ საჭიროთ მიმაჩნია გავითვალისწინოთ დღევანდელი რევოლიუციონური მომენტი, რევოლიუციის გამომწვევი მიზეზები, რევოლიუციის მიზანი და გზა და ხიდი, რომელიც მიგვიყვანს დამფუძნებელ კრებამდი. აქ ბევრს ლაპარაკობენ ბურჟუაზიის რევოლიუციონერობაზე და რუსეთის რევოლიუციის ბურჟუაზიულ ხასიათზე. ეს სახელწოდება მოგვცა საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ, რაც საფრანგეთის რევოლიუციისათვის შესაფერისი იყო. რაც შეეხება ჩვენს დიად რევოლიუციას, ის სულაც არ გავს საფრანგეთისას, რადგან რუსეთის რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები ბევრით განსხვავდებიან საფრანგეთის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთაგან.

რუსეთის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალად მომხსენებელი აღიარებს ერთი მხრით 8 საათის სამუშაო დღის შემოღების გარშემო შეკრებულ მუშათა კლასსა და მეორე მხრით მიწისა და თავისუფლების მ ხოვნელ გლეხკაცობასა და რევოლიუციონურ ჯარს.

რაც შეეხება ბურჟუაზიას—განმარტავს მომხსენებელი—ის უფრო ისეთ ცენტრს წარმოადგენს, რომელიც რევოლიუციის გაფართოვებას შიშით შეპყრობილ რუსეთის მამულეთ იზიდავს, რომ კადეტების აგრარულ პროგრამით დაკმაყოფილდეს რუსეთის გლეხობა. ამ ტომ ბურჟუაზიის რუსეთის რევოლიუციისათვის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკი მეტია. რაც შეეხება რუსეთის პროგრესიულ ლიბერალურ ინტელიგენციას, მისი როლი მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ უმთავრესი მამოძრავებელი ძალა რუსეთის პროლეტარიატი და გლეხკაცობაა, რომელსაც ეხმარება რევოლიუციონური ჯარიც. რუსეთის რევოლიუციის ასე დაჩქარებით და ფართოთ მოხდენას აუცილებლად შეუწყო ხელი უსაშინლესმა გამანადგურებელმა ომმა. დროებითი მთავრობა, როგორც ასეთი, მოგვცა უმთავრესად პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა რევოლიუციონურმა გამოსვლამ რამდენათაც ეს დროებითი მთავრობა განმახორციელებელია პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან შეთანხმებით აღთქმული [illegible], იმდენათ მას მხარი უნდა დავუჭიროთ. კრების თავმჯდომარე აცხადებს ამ კითხვაზე ლაპარაკის მსურველია სამოცდა ცამეტი ორატორი. კრება ნახევარი საათით შეწყდა და მიეცა წინადადება ყველა ჩაწერილ ორატორებს შეთანხმებულიყვნენ და რამდენიმე ორატორის გამოშვებით დაკმაყოფილებულიყვნენ. კრების გახსნის შემდეგ კრების თავმჯდომარის ამხანაგმა გამოაცხადა ორატორთა თათბირის შედეგი; სიეზდის მონაწილე ჯგუფთა შეთანხმება მოხდა. ხუთ ხუთ ორატორს გამოუშვებენ სოციალდემოკრატიულ ბოლშევიკები, მენშევიკები და ესერები, მექვსე საჭიროების მიხედვით, ხოლო ორ ორატორს კადეტები. დანარჩენ პარტიულ და არა პარტ. ორატორებს მიეცათ წინადადება უარი ეთქვათ სიტყვაზე. ჩაწერილ ორატორთა უმრავლესობა უარს ამბობს სიტყვაზე, ხოლო მეორე ნაწილი მსურველია ლაპარაკის. ცხადდება შემდეგი წესი მოლაპარაკეთათვის. ილაპარაკებს ბოლშევიკი შემდეგ მენშევიკი, ესერი უპარტიო, კადეტი, ასე მეორდება შემდეგ მოლაპარაკეთათვის. სიტყვა ეძლევა „ბოლშევიკ“ ჯარის კაცს მალიკინს. ის ბევრს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ომის წინააღმდეგ ხმის ამომღებელნი ციხეებში არიან ჩამწყვდეული თვით ინგლისში საფრანგეთში და სხვაგან, ამიტომ არ უკვირს მას რუსეთში ლენინის, რომელიც ომის დაუყონებლივ შეწყვეტას მოითხოვს, წინააღმდეგ კამპანიის გაწევა, ის უფრო ლენინის დაცვაზე ლაპარაკობს, ვიდრე დროებითი მთავრობასთან დამოკიდებულობაზე... მენშევიკების მხრივ გამოდის ამხანაგი **სმირნოვი.** ის აცხადებს: მე არ შევეხები იმ მრავალ შეუსაბამობათ, რომელიც აქ ითქვა. და სადაო საკითხს არ ეხება. სმირნოვი თავის საბუთიან სიტყვაში ამტკიცებს დროებითი მთავრობისთვის მხარის დაჭერის საჭიროებას და აღნიშნავს დროებითი მთავრობასთან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების არსებობის საჭიროებას რევოლიუციის ბოლომდის მისაყვანათ და ამტკიცებს რომ დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია ამ რევოლიუციონურ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხკაცთა დეპუტატების საბჭოების წინაშე, როგორც მათი ნების აღმასრულებელი ორგანო. დღევანდელი რევოლიუციონური მთავრობა ისევეა პასუხისმგებელი ამ რევოლიუციონური საბჭოების წინაშე, როგორც ყველა კონსტიტუციონურ ქვეყნებში კანონმდებელი დაწესებულების წინაშე მთავრობა. მაშასადამე აქ ჩვენში რუსეთში „დვოევლასტიეს“ ადგილი არ აქვს. უფლებიანია რევოლიუციონური საბჭოები, ხოლო დროებითი მთავრობა მისი სურვილების განმახორციელებელი ორგანოა. ეს გარემოება საჭიროა ყველამ გაითვალისწინოს და შეიგნოს, რომ შემდეგში ამის შეს ხებ ორ აზროვნებას აღარ ექნეს ადგილი... სოც. რევ. **ნადეჟაროვი** ლაპარაკობს ჯარის სახელით. ს ჭიროთ მიმაჩნია დროებით მთავრობისთვის მხარის დაჭერა. შემდეგ ლაპარაკობს ესერების თანამგრძნობელი ტერ-ტერიანი. ამის შემდეგ კრების თავმჯდომარე აცხადებს კამათის შეწყვეტის წინადადებას.

(შემდეგი იქნება).

## პირველი მაისი.

**ტრაპიზონი.** ჯერ კიდევ 17 აპრილს შეიქნა მზადება: ამზადებენ დროშებს, იმუშავებენ წესრის და სხ... გადაწყვეტილია ჯარების „პარადი“ მოხდეს „წითელ კაზარმებთან“, პოლიტიკური პარტიები იქვე უნდა შეუერთდენ ჯარს. გამოუშვეს მოწოდება როგორც სოციალ დემოკრატიულმა კომიტეტმა, ისე ესერებმაც, გამოვიდა ადგილობრივი გაზეთი „ლისტოკი“ ჩვენი ამხანაგების მოწინავე წერილებით. გათენდა დილა. თითქოს ბუნებაც ხელს უწყობს დღესასწაულს, სამი დღის წვიმის შემდეგ სწორეთ თვრამეტში გამოიდარა; 9 საათზე „თავისუფლების მოედანი“ (უწ ნ ნიკოლოზის მოედანი) სავსეა ხალხით, ჯარისკაცები სჭარბობენ, ხალხი თანდათან ემატება. ყოველ კუთხიდან მოფრიალებს წითელი დროშა, დღის ლოზუნგია: „გაუმარჯოს ინტერნაციონალს“, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას“, „რვა საათის სამუშაო დღეს“ და „სოციალიზმს“. მოსჩანს „მიწა და თავისუფლების“ პლაკატებიც. დაიძრა პროცესია, წინ მწყობრივ მიდის დროშები, მათ მისდევს მომღერალთა გუნდი სარევოლიუციო სიმღერების მწყობრი გუგუნით. ყოველ მოსახვევში გვიერთდება ჯარის ნაწილები და დაწესებულებათა მუშები თავისი დროშებით; ქალაქს გაშორდით, ხალხს სათვალავი არ არ აქვს, ყველა ერთის ფიქრით არის გატაცებული, ყველას გული სიხარულს და ბედნიერებას გრძნობს, გუშინდელი დაღვრემილი, მოუხეშავი და მოლუშული ჯარისკაცის სახე დღეს რაღაც ნეტარების ღიმილს მოუცავს.. ყველა ხმით თუ არა გულში მაინ მღერის, მღერის თამამათ და გაბედულათ. თვალწინ გვეშლება მხატრული სურათი: მარცხნით მწვანეთ მობიბინე მთები, მარჯვნით კი გადაშლილი ნელათ მტოკავი შავი ზღვა... უახლოვდებით „წითელ კაზარმებს“, თვალ უწვდენელი მინდორი სავსეა ხალხით და რიგ რიგათ დაწყობილ სალდათ-კაზაკებით. ჩვენ მისვლას დაუწყნარებელ „ურას“ ძახილით ეგებებიან. იქაც წითელი დროშები ფრიალებს.

გაისმა მარსელიოზა, რომელსაც ორი სამხედრო მუსიკა ასრულებდა. ურას ძახილმა

დაფარა არე-მარე. გატარდა ჯერ ყველა ჯარების ნაწილები, შემდეგ ყველა პარტიები და ორგანიზაციები. სოციალდემოკრატთა შორის ვხედავთ ურიცხვ ჯარისკაცებს და მუშებს, ვხედავთ სხვა და სხვა ნაციონალურ დროშებსაც, რომელთაც შორის უკრაინელების იქცევს ყველაზე მეტ ყურადღებას. ნაშუადღევს გაიმართა მიტინგი. ილაპარაკეს მომენტზე, 8 საათის სამუშაო დღეზე და სოციალიზმზე. რეზოლიუცია გამოიტანეს უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის შესახებ. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა საღამოს.

დავა გუბელი.

**ქ. ართვინი** წარმოადგენს მიყრუებულ კუთხეს კავკასიაში, აქ ჯერ თავისუფლების სხივებს ძლივსღა მოუღწევია. როცა მთელი ქვეყნის პროლეტარიატი პირველ მაისს დღესასწაულობდა, აქ არავის მოაგონდა, რომ ეს დღე შესაფერათ ედღესასწაულებინათ. ვაჭრობა, სწავლა სკოლებში და სხვა ცხოვრების მიმოსვლა ისევ მიმდინარეობდა, როგორც ჩვეულებრივ სამუშაო დღეს. აქაურ აღმასრულებელ კომიტეტს აზრათაც არ მოსვლია ამ დღისთვის ხალხი მოემზადებია. მხოლოდ ერთმა გარეშე ამხანაგთაგანმა გაახსენა ქალაქის კომისარს, რომ ბაირაღები მაინც გამოეფინათ. კომიტეტის თავმჯდომარემ კი იმით იმართლა თავი, რომ დღეს ცუდი ამინდი არისო. საბუთი მეტი რომ არა ვსთქვათ ერთობ მსუბუქია. იმედია, რომ ამნაირ შეუგნებლობას ადგილი შემდეგში აღარ ექნება.

„სამნი“.

**ახალსენაკი.** კიწიის, თაბაკონის და სალხინოს საზოგადოებათა შეერთებულმა მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის ჩამოგდების შესახებ.

**ბაუხანა.** (სპარსეთი). მოქალაქეობრივ მოვალეობით და სამშობლოს სიყვარულით აღტყინებულნი, ნათლად ვხედავთ პარტიულ განხეთქილების მავნებლობას. ჩვენ შორეულ სპარსეთის კუნჭულში მყოფი შვილნი კავკასიისა და რუსეთის მოქალაქენი სალამს გიძღვნით თქვენ, ახალ მთავრობის კომისარებს და იმედი გვაქვს, რომ თქვენ შესძლებთ ყველა ნაციისა და პარტიათა ინტერესების შეთანხმებას და შერიგებას კავკასიის საკეთილდღეოდ და დიდი რუსეთის სასახელოდ. აღმასრულებელ კომიტეტის წევრები: **განიევი, ოსიპიანცი და შევარდნაძე.**

**ჩოხატაური.** პირველ მაისს გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, გამოიტანეს შესაფერი რეზოლიუციები ზავისა და რვა საათის სამუშაო დღის დაკანონების შესახებ.

პირველ მაისობას დიდი მიტინგები და მანიფესტაციები მოუწყვია სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებს შემდეგ ადგილებში: ბორჯომში, სენაკში, ხონში, ჭიათურაში, ქუთაისში და სხვაგან.

# სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

**ს. ამაღლება** (გურია).

16 აპრილს მოხდა ამაღლების საზოგადოების რ. ს. დ. პარტიის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 44 წევრი. გამომუშავებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: იყო მოხსენება, ჩვენი მუშაობა დემოკრატიაში, პირველი მაისის დღესასწაული, საწევრო გადასახადები, ჩვენი დამოკიდებულება ადგილობრივ აღმ. კომიტეტთან, ძველი პარტიული იარაღების შესახებ და კოლექტივის არჩევა. მოხსენებას აკეთებს ამხანაგი სერგო წეროძე, რომელიც აცნობს კრებას ჩოხატაურის რაიონის პარტიული კრების გადაწყვეტილებას, რომელიც უმთავრესად გამოიხატა ს. დ. წესდების განხილვაში, რაც კრებამ მოისმინა და უცვლელად მიიღო. დემოკრატიაში მუშაობის შესახებ კრებამ დაადგინა ეხლავე მოეწყოს დემოკრატიული წრეები, სადაც უნდა იყოს მეცადინეობა დამფუძნებელ კრების ნიადაგის მოსამზადებლათ, და საერთოდ ხალხის განსავითარებლად. ამ საქმის მოგვარება ე. ი. პროპაგანდისტთა ჯგუფის შექმნა და მისი ხელმძღვანელობა მიენდო პარტიულ კოლექტივს. პირველი მაისის შესახებ კრებამ შეიმუშავა შესაფერი გეგმა: კრებამ გადასწყვიტა მიეცეს წინადადება ადგილობრივ აღმ. კომიტეტს საზოგადოების რთულ კითხვებში იმუშაონ ს. დ. პარტიის დირექტივების თანახმათ. ძველი იარაღის შესახებ კრებამ დაადგინა გამოძიებული იქნას ამ იარაღების სვებედი, რისთვისაც აირჩია კომისია სამი კაცისაგან.

ხად. მუხიანი.

ამას წინეთ რაიონის მუშათა საბჭოს და სოც. დემ. ჯგუფის შეერთებულმა სხდომამ დაადგინა შევუდგენ სოფლათ პარტიული ორგანიზაციების მოწყობას თანახმათ ამიერ კავკ. სოც. დემ. მუშათა ორგანიზ. წესდებისა და მოკლე ხანში მოხდეს რაიონის პარტიის წევრთა კრება რაიონული ორგანიზაციის წევრთა ასარჩევათ.

# მუშათა ცხოვრება.

**თფილისი.** ერთობ დაბეჩავებულ მდგომარეობაში არიან აქაური კალატოზი მუშები, რომელთა შეუგნებლობა პირდაპირ საარაკოა. ამით სარგებლობენ ხაზეინები და ტყავს აძრობენ. საჭიროა სხვა დარგის შეგნებულმა მუშებმა გაუწოდონ ხელი მათ და შეაგნებინონ პროფესიონალური კავშირების შეკვრა. იმედია მუშათა საბჭო მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას.

რ. მაილოვი.

26 აპრილს სეილანოვის თამბაქოს ფაბრიკაში შედგა ყველა თამბაქოს ფაბრიკის პატრონთა და მუშების წარმომადგენელთა შეერთებული კრება, რომელსაც დაესწრო პროფესიონალური კავშირის ორი წარმომადგენელი: ევგენი დარჩია და გიორგი კუზანოვი. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეული იქნა ევგენი დარჩია. პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებმა და მუშებმა კრებაზე წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნილებანი:

1) 8 საათის სამუშაო დღის ცხოვრებაში დაუყოვნებლივ გატარება.
2) ზედმეტი სამუშაო საათების მოსპობა.
3) მოსპობა ნაჭრობითი მუშაობისა და შემოღება დღიური ხელფასისა.
4) მცირე წლოვანთათვის 6 საათის სამუშაო დღის დაწესება.
5) უქმეების წინა დღეს 7 საათის სამუშაო დღე.

დიდი კამათის შემდეგ ხაზეინებმა ყველა მოთხოვნილება მიიღეს გარდა მესამე პუნქტის ე. ი. ნაჭრობით მუშაობის მოსპობისა. ამის შესახებ პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ვინაიდან ამ პუნქტში დღეს შეთანხმება ვერ მოხდა, ეს კითხვა ღიათ დარჩეს და საბოლოოთ გადასაწყვეტათ გადაეცეს ცენტრალურ მომრიგებელ კომერას, რაზედაც ფაბრიკის პატრონები დათანხმდენ. საჭიროა მუშებმა ყურადღებით მოეპყრან ამ საკითხს, ხელი შეუწყონ კითხვის დადებითი გადაჭრას.

ევ—და.

**ჯულფა-ბაქოს გზის მუშათა ცხოვრება.**

ეს გზა ყველასაგან დავიწყებულია, მუშათა განუსაზღვრელ ექსპლოტაციას საზღვარი არ აქვს, რაც მუშების შეუგნებლობის ბრალია, კიდევ დიდხანს იქნებიან ადამიანის პიროვნების დამამცირებელ პირობებში თუ თავის დროზე არ იქნა ზომები მიღებული და ვინმემ სინათლის ლამპარით არ შემოანათა აქ. უმთავრესათ აქ თათრები და სომხები მუშაობენ, ქართველ მუშებს იშვიათად შეხვდებით, რადგანაც მუშაობის პირობები აუტანელია. არ არსებობს არავითარი ჰიგიენური პირობები, ბარაკები უსინათლო და ნესტიანია, ექიმებს ხომ სიზმრათაც ვერ იხილავთ. გავრცელებულია ტიფი, მრავალი მუშა მოსამსახურე ესალმება წუთი სოფელს; უბედურ შემთხვევის დროსაც უექიმობით ბევრი იღუპება.

ნეტავ სანამდის იქნება ასეთი მდგომარეობა? ნუ თუ თავისუფლების და შეგნების სხივი ჩვენამდე არ მოაღწევს?

კვესი.

**ხ. ჭარხი.** 19 აპრილს ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთაგან შედგა კრება, რომელსაც უნდა აერჩია დელეგატები ცენტრალურ კომიტეტში გასაგზავნათ. კრების ხელმძღვანელობა იკისრა იმ ჯგუფმა, რომელიც შავბნელ დროში ნაპერწკალივით ღვივოდა ჩვენს შორის და ყოველივე მოვლენას შეძლების და გვარათ ანგარიშს უწევდა. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამ ჯგუფის მიერ დასახელებული დიმიტრიევი. ადგილობრივ ბნელ ძალებს, როგორიც არიან სად. უფროსი ზაიჩიკო, მისი თანაშემწე პოპენკო და სხვები. ეს არ მოეწონათ და შესაფერი მოქმედებაც დაიწყეს შეუგნებელი მუშების მომხრობით. მათ უგვანო საქციელს ფარდა ახადა აღმასრულებელმა კომიტ. წარმომადგენელმა თევზაძემ, მაგრამ ბნელი ძალები მაინც ძლიერნი გამოდგენ და ხელი შეუშალეს დიმიტრიევის ცენტ. კომიტეტში არჩევას. რადგან საქმე ასე წავიდა, ადგილობრივმა კომიტეტმა აირჩია თავიანთ შორის ორი კაცი თევზაძე და იმხნელი და ისინი გაგზავნეს ცენტრალურ კომიტეტში.

კალამი.

## რედაქციისაგან.

**ვთხოვთ თფილისის ყველა რაიონულ ს.-დ. ორგანიზაციებს აირჩიონ პასუხისმგებელი კორესპონდენტები, რომელთა მოვალეობა იქნება გაზეთისთვის ყოველდღიურ უტყუარ ცნობების მიწოდება რაიონში მომხდარ კრებების, მუშათა და პარტიათა ცხოვრების და სხვა პოლიტიკურ საკითხების შესახებ.**

**ასეთივე კორესპონდენტების არჩევას სთხოვს რედაქცია პროვინციელ ს.-დ. ორგანიზაციებს ადგილობრივი ცნობების მოსაწოდებლათ.**

**კორესპონდენტის ვინაობა და ადრესი დაუყონებლივ უნდა ეცნობოს რედაქციას.**

**საზოგადო კრება.** არტისტიულ კლუბის საზაფხულო სადგომში შედგა თფილისის მკერვალთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 400 მდე წევრი განურჩევლათ სქესისა. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხანაგი მურავიოვი, მდივნათ ამ. ტრიფონოვი. დროებითი საორგანიზაციო ბიუროს სახელით მოკლე მოხსენება გააკეთა ნ. იტრიევმა. ამის შემდეგ კრება შეუდგა წესდების მუხლებრივ განხილვას. კამათი გამოიწვია მე-4 მუხლმა, რომელიც შეეხებოდა სახლში მომუშავეების და „ზაკროშჩიკების“ კავშირის წევრებათ მიღებას. დიდი კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: სახლში მომუშავეები მიიღებიან წევრებათ, თუ ერთ შაგირდზე მეტი არ ეყოლებათ; „ზაკროშჩიკები“ კი არ იქნებიან დაშვებული, რადგანაც მათი თანამდებობა ადმინისტრატიულია. დანარჩენი მუხლები მიღებულ იქნა ცოტას შესწორებით და დამატებებით, დასასრულს კრება შეუდგა გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნებს. გამგეობაში არჩეული იქნა 9 კაცი: ნოსოვის ქალი, ვინიკოვი, კახიანი გიორგი, ტრიფონოვი, ნიკო იტრიევი, ანაპოლსკი, ვანო ხმალაძე, ხაჩატურიანცი, აბოვიანცი. მათ კანდიდატებათ ოგანეზოვი, ნიშან ყაზაროვი, კოჩიტოვი, ალ ტერ-ცატუროვი და ლომიძე. სარევიზიო კომისიაში 5 კაცი: მინასა, აფანასევი, ალექსი სარქისოვი, მალხაზ ყაჯარიშვილი, მარტიროსიანცი. კანდიდატებათ მინასიანცი და ლომჯარია. აქვე მოხდა წევრების ჩაწერაც. კრება დაიშალა საღამოს 5 საათზე.

ნიკო.

# რევოლიუცია პროვინციაში.

**დ. ხაშური.** ამას წინათ აქ დააპატიმრეს კარგათ ცნობილი შანტაჟისტი ბერაია და თფილისში გაგზავნეს, აქაური აღმასრულებელი კომიტეტი ფხიზლადაა და თვალყურს ადევნებს ყოველივე ბნელი ძალის ამოძრავებას. მაგრამ რეაქციონერებიც მოქმედებენ. ისინი არავითარ ხრიკებს არ ერიდებიან, რომ საზოგადოებაში უთანხმოება დასთესონ და დაამცირონ უმწიკვლო საზოგადო მოღვაწენი. 14 აპრილს კომიტეტმა დაატყვევა გიგუცა ძნელაძე. და აი, ამ ვაჟბატონებმაც ხალხში აგიტაცია გასწიეს—გ. ძნელაძე უდანაშაულოთ დაატყვევა კომიტეტმა, რომლის წევრები პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობდენ და ამიტომ მოითხოვეთ იმისი განთავისუფლებაო. მათ აჰყვნენ ნიხრის გამომუშავებით ნაწყენი ჩარჩ ვაჭრები ს. ალაჯანაშვილი, ს. მანჯავიძე, გ. ჯაფარაშვილი, ნიკო ამირაჯიბი, ბაგრატ აბულიანცი („ბათუმი“) და სხვები. ნუთუ ასე დაბრმავდა ეს უბადრუკი ხალხი, რომ დემოკრატიის მიერ დამყარებულ სამართლიანობას მოსპობენ. სცდებიან უგნურნი.

ვ. შენკალი

**ქ. სოხუმი.** დღიდან თავისუფლებისა აქ არსებობს სალდათების დეპუტატთა საბჭო, რომელშიც შედიან რიცხვით 22 ჯარისკაცი და სამი აფიცერი, თავმჯდომარეთ ჰყავთ ერთხმათ არჩეული ამხ. ამბ. ყურაშაძე, რომელიც პირნათლად და მედგრათ ასრულებს თავის მოვალეობას.

**ხ. ხაშმი.** დადგა თუარა თავისუფლების დღენი, წამსვე გაიწორდა ხალხი წელში და ანგარიშები მოსთხოვა სოფლის წერამლებს, რომელნიც მთელი წლების განმავლობაში უკანტროლოთ დაპრაპაშებდენ ხალხში და ყველას ტყავს აძრობდენ. სოფლის „სპორშჩიკს“ ჯანიაშვილს შეჭმული აღმოაჩნდა 179 მანეთი, მწერალს ყრუაშვილს—280 მ., ხაზინადარს შავაცაშვილს 385 მ.; ბოქაულის მარჯვენა ხელს მიხა ქორქაშვილს ქრთამათ ალებული ჯირჯირობით გამოარკვიეს 300 მ., ბოქაულ ზუკაკიშვილს კი 500 მანეთი. ზოგ ამ პირებს იქვე გადაახდევინეს ბოროტმოქმედებით შეძენილი ფული, ზოგმაც მალე უნდა გადაიხადოს. აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით ყოფილი პოლიციელები, როგორც მავნე პირები, ფრონტზე გასაგზავნათ გადაეცა ვისაც ჯერ იყო.

ივ. მაისურაძე.

**ხ. ონტოფო.** 19 აპრილს შედგა ადგილობრივ ქალთა დამფუძნებელი კრება. თავმჯდომარეობდა ქ-ნი ელენე ავალიანისა. მდ. ფედოსია ანჯაფარიძის ასული. ბატ. ნადარეიშვილი კრებას თხოვს ფეხზე ადგომით პატივი სცეს რევოლიუციის მსხვერპლთ. შემდეგ არკვევს ქალთა საზოგადოების საჭიროებას და მნიშვნელობას პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში შეგნებულათ მონაწილეობისთვის.

კრება ირჩევს გამგეობას და სარევიზიო კომისიას, რომელშიდაც შედიან შემდეგნი პირნი: თავმჯდომარედ ფედოსია ანჯაფარიძის ასული, მდივნათ სონია ნადარეიშვილის ასული, ხაზინ. ნეონილა ნადარეიშვილის ასული, ნინიჩკა ჰანტურაიასი, პარასკევა თოფურიასი, ანიჩკა ნადარეიშვილი, ლოლია თაკვარელიას ასული, ქიქი ნადარეიშვილისა. სამი უკანასკნელნი შედიან სარევიზიო კომისიაში. დასასრულ კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სოც. დემ. ბელადს ნოე ჟორდანიას რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალთა საკითხის გაშუქებაში. ვუსურვებთ ამ ნორჩ დაწესებულებას დროის შესაფერ მუშაობას იმ საფუძველზე, რომელზედაც ის აშენებულია.

ფედოსია ანჯაფარიძის ასული.

**დ. ბორჯომი.** ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ დატუსაღებულნი ქ. ჯაფარიძე, ლეინიჩი მურმანიშვილი და ექიმი ქუკოვი განთავისუფლეს.

საზოგადოებაში გაისმის უკმაყოფილების ხმა დიდი მთავრის მამულის გამგის ვინოგრადოვ-ნიკიტინის წინააღმდეგ. დღემდის ეს ვაჟბატონი თავის ბედნიერებას გლეხების უბედურებაზე აშენებდა. დღეს კი რაღაცა სასწაულით აღმასრულებელ კომიტეტში მოკუპებულა, თავის თავად ცხადია, რომ იგი დაიცავს დიდი მთავრის ინტერესებს და არა ხალხისას. ეს გარემოება აღმასრულებელ კომიტეტის მთელ შემადგენლობას უკარგავს ნდობას. ბორჯომის საზოგადოებამ უნდა მიაქციოს ყურადღება ჯარისკაცის ისაკა ქოზაშვილის მოქმედებასაც. ამ სტრიქონების დამწერი მოწმე იყო შემდეგი მოვლენისა: ბატონი ქოზაშვილი სთესდა მტრობას სოფლის და ქალაქის მუშათა შორის; უთითებდა გლეხებს ძალმომრეობისაკენ და წევდა მათში აგიტაციას მოწინავე მუშაკთა წინააღმდეგ. ამ გვარი მოქმედება, ჩემის აზრით, კონტრრევოლიუციონურია და დროზედ ანგარიში უნდა გაეწიოს.

ბორჯომის გლეხობაში ძველი რეჟიმის დროს საქონლის ქურდობას ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა. პოლიციის ღონისძიებანი რასაკვირველია, უნაყოფო რჩებოდნენ. დღეს კი ბევრი რამ ირკვევა: ბაკურიანში დაბრუნდა ჯარისკაცი თელოვნელი გლეხი ისიდორ გელაშვილი, რომელსაც ქურდების ვინაობა კარგათ სცოდნია. სია ამ ვაჟბატონებისა მას გადუცია ბაკურიანის აღმასრულებელ კომიტეტისათვის.

როგორც ირკვევა ისეთი პირნიც მოჰყოლია ამ სიაში, რომელნიც დღეს საწყალ გლეხებს მოწინავე ადამიანებათ მოსჩვენებიან. მათს ვინაობას ჯერ არ დავასახელებ. ქურდბაცაცების ასალაგმავათ საზოგადოებამ ყოველივე ზომა უნდა მიიღოს.

„მეგობარი“.

## ამხანაგების საყურადღებოთ.

რამდენიმე ამხანაგებისაგან მივიღე საყვედური ჩემი წერილის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა «ხალხის ერთობის» და „ხალხის თავისუფლების“ ნომრებში. ამხანაგების ეჭვის გასაფანტავათ უნდა აღვნიშნო, რომ მე არავითარ ჯგუფთან არავითარ პარტიასთან გარდა ს.-დ. მუშათა პარტიისა, საერთო არა მაქვს რა, მართალია მე ავტონომიის მომხრე ვარ მაგრამ მარტო ამ კითხვისთვის ვერ დავშორდები იმ მუშათა პარტიას, რომელსაც შევწირე ჩემი სიცოცხლე. რაც შეეხება სხვა გაზეთში წერილების მოთავსებას, მე ის წერილები გავგზავნე „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციაში დიდმარხვაში, როგორც უპარტიო ჟურნალში. მაგრამ არ ვიცი რა მოსაზრებით წერილი დაიბეჭდა აღნიშნულ გაზეთში. ესეც მაშინ გავიგე, როცა სოფლიდგან დავბრუნდი ქ. თელავში. მოუცლელობის გამო წერილი დამიგვიანდა.

სოსო მაჭავარიანი.

## გაზეთის სასარგებლოთ.

ილარიონ თავამაიშვილისაგან 8 მ. 60 კ.

—

ივანე პავლეს ძე მალანჩივაძისაგან 1 მ.

ევგენი ჩარკვიანისაგან რედაქციამ მიიღო 40 მ. 85 კ. ფული მოგროვილია ჯარისკაცების მიერ.

—

სევ. ქვანია და ბაგრ. ჯულელი ს. ეწერიდან ამხანაგების სახელით გვაწვდიან 20 მან. სალდათებისთვის გაზეთის გასაგზავნათ, 5 მ. ფონდისთვის და დანარჩენს პარტიის სასარგებლოთ.

—

ნ. აბზიანიძემ თავისი ძმის, ვალიკოს ხსოვნის პატივსაცემათ რედაქციას შესწირა 5 მ.

—

ისაკ ჯვარლეიშვილისაგან რედაქციამ მიიღო 31 მ. 32 კ., რომელიც შეგროვდა ტრაპიზონში.

—

ამროსი კალანდაძემ რედაქციას მოაწოდა მეოთხე ტრანსპორტის მუშებში შეგროვილი 17 მ. 70 კ.

—

მივიღეთ ირ. თავდიშვილისაგან სარიყამიშის რემონტის მუშებში შეგროვილი 29 მან. 10 მ. „ერთობისთვის“, 10 მ. „კავკ. რაბ.“ და 9 მ. „ფაიქარს“.

—

ჯინჭარაძისაგან მივიღეთ კახეთის რკინის გზის მოსამსახურეთა შორის შეკრებილი, „ერთობის“ ფონდისთვის 69 მ.

—

ილ. გუჯაბიძისაგან და სოლ. დოლიძისაგან მივიღეთ ტრაპიზონში მდგომ მეცხრე ტრანსპორტის სალდათებ შორის შეგროვილი 13 მ. 40 კაპ.

—

იაკობ ლომთათიძისაგან მივიღეთ ოზურგეთის პლანტაციის მუშებ შორის შეგროვილი 14 მ. 20 კ.

—

პლატონ ანთიძისაგან მივიღეთ 6 მ., სად. სანგაჩალის [illegible] შორის შეკრებილი.

ჯ. კ. პარმენ [illegible] ხელიძისაგან მოგვივიდა 14 მან. 30 კ. ფული შეგროვილია ავსტრიის ფრონტზე მყოფ 648 პოდოლსკის დრუჟინის მესამე როტის ქართველ სალდათებს შორის.

—

თეოფილე ჯორბენაძისაგან მივიღეთ 22 მ., რომელიც მოგროვილია სპარსეთში მყოფ ქართველ ჯარისკაცებ შორის.

—

ვას. ხერხეულიძისა, არჩილ ელისაბედაშვილისა და სამსონ გოგოლაშვილისაგან თითო მანეთი.

—

ვლ. რუხაძისაგან 5 მანეთი.

—

დავ. ონიაშვილისაგან 1 მ. 60 კ.

—

რედაქციამ მიიღო ოზურგეთიდან ქ-ნ მატა შარაშენიძის მიერ გამოგზავნილი 21 მ. შეგროვილი მანდილოსანთ შორის პოლიტიკურ გადასახლებულთა სასარგებლოდ ნაცვლად დესპინე მახარაძის ასულის არომიძის ცხედრის გვირგვინისა. სია უადგილობის გამო არ იბეჭდება.

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ღია ბარათი ბათუმის სატყეო რაიონის მოხელეს (ლესნიჩს) ბ-ნ გრიგოლ აბაკელიას.**

თქვენ ბ-ნო გრიგოლ, გურიაში ყოფნის დროს სხვებთან ერთად უსამართლოდ მეც დამიჭირე; აშკარათ უსამართლოდ გვექცეოდით და გლეხებს გეჩაგრავდი პოლიციის მოსევითაც კი. ბრალდების დასამტკიცებლათ გიწვევთ სამედ. სასამართლოში. ჩემი მედიატორი იქნება: ვასო გრ. მგალობლიშვილი და მასწ. გიორ. ქიქოძე. მე თუ გავმტყუნდები ხუთ თუმანს გადავიხდი ნაციონალისტების გაზეთის სასარგებლოდ და თუ თქვენ—ამდენივე გადაიხადეთ „ერთობის“ ფონდისთვის.

ნიკიფორე გობრონიძე.

აკაკი და მინადორა ხოშტარიების მიერ შემოწირულ ფულის განმანაწილებელმა კომისიამ გაგრიდან თენგიზ კოსტას ძე მალნარაძისაგან მიიღო 300 მან. განთავისუფლებულ პოლიტიკურთა სასარგებლოდ.

ს. ჯვარცხმის სკოლის ზედამხედველი ხარიტონ მათითაძე მადლობას სწირავს იროდი ბოლქვაძეს, რომელმაც თავისი ძმის სილიბისტროს ხსოვნის პატივსაცემათ 50 მანეთი შესწირა ადგილობრივ სამკითხველოს.

ს. ციხის (გურია) სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს სამსონ ქორიძეს ბიბლიოთეკის სასარგებლოთ ფულის შეგროვებისთვის. დიდ მადლობას სწირავს აგრეთვე წვლილის გამღებთ.

მიშა კოლუაშვილი დიდ მადლობას სწირავს იმ პირთ, ვინც ს. აცანის სამკითხველოსა და ამავე სკოლის უმაღლეს პირ. დაწ. სასწავლებელს შესწირა თავისი წვლილი.

ს. სხიეიშვილი მადლობას უძღვნის ბიქტორ ფუთურიძეს, რომელმაც ზუხიანის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ შეაგროვა 19 მ. და 75 კ.

## ცნობები

**ჯარის კაცების შესახებ.**

ათი თვე არის, რაც არავითარი ამბავი გაგვიგია ჩვენი შვილის ალექსანდრე გიორგის ძის ელბაქიძისა, რომელიც მსახურებდა კავკასიის ჯარში. ვსთხოვ უმორჩილესათ თუ ვინმემ იცის მისი ამბავი, ამ ადრესზე შეგვატყობინოს: დ. ცხინვალი, გორის მაზრა, გიორგი ელბაქიძეს.

როგორც კარავერინოდან (სპარსეთი) გვატყობინებენ, იქ ბანაობის დროს მდინარეში დაიხრჩვალა რაჭის მაზრის სოფ. ტბეთის მცხოვრები ჯ.-კ. სერგო ივანეს ძე ჭოხელიძე.

## ჩვენი ფოსტა.

**ჯ. კ. ერ. ინწკირველს.** ჯარისკაცს სრული უფლება აქვს პარტიაში ჩაეწეროს. ამისთვის უნდა მიმართოთ ადგილობრივ ს.-დ. ორგანიზაციას.

**პორფილეს.** რევოლიუციამდე ჩადენილ მცირე დანაშაულის სასჯელი მანიფესტით ნაპატიებია, თუნდაც საქმე რევოლიუციის შემდეგ იქნეს გარჩეული.

**სოხუმი. ს. მეხუზლას.** მოიწერეთ მაქაური ამბები.

**გრიგ. ანთაძეს.** მიმართეთ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

მიღებულია ფრანგული აგრეშუმის
თესლი ცნობილი ფირმის ბერჟესი
საკუთარ შეკვეთის თანახმათ
ოთხკუთხ კოლოფებში
ფრანგული სამფეროვანი დროშით და შავი არწივით ყვითელ ფონზე.
მიმართეთ ტ. ს. მირზაიანცს: თფილისი განოვის ქ. № 8.
ტელეფონი 13—58.
დეპოს ადრესი: ტიგრან მირზაიანცს თფილისში. 10—9

სწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.